საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი
Департамент охраны памятников Грузии

# შიდა ქართლი

## ზნაურის (ყორნისი) რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა

1983-1984 წლების ექსპედიციის მასალები

# ШИДА КАРТЛИ

## Архитектурное наследие Знаурского (Корнисского) района

Материалы экспедиции 1983-1984 г

თბილისი 2004 ТБИЛИСИ

დღეს, როდესაც გლობალიზმის ეპოქა პლანეტარულ ანუ უსამშობლო თავისუფლებას უმღერის, კოსმოპოლიტი იდეოლოგების უპირველესი საფიქრალი კი - თანამედროვე სამყაროს ჰუმანური მოწყობა და ცივილიზაციის მარადიული სოციალური პრობლემის გადაჭრაა, ნაციონალური კულტურისა და ნაციონალური თვითმყოფადობის განვითარება, ერის კულტურული მემკვიდრეების გაცოცხლება - შენარჩუნება, თითქმის ეპოქალური მნიშვნელობის ამოცანა ხდება ქართველთა ქვეყანაში.

თუმცა ისიც ფაქტია, რომ ცივილიზაციისა და პროგრესის სახელით მოლაშქრე უცხოელი მეცენატების მცდელობას, აზიარონ ქართული ეროვნული ცნობიერება მასკულტურას, ეროვნული ნიშნით დაღდასმული და ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებულ ქართველ მეცენატთა გამორჩეული ნაწილი, მრავალსაუკუნოვანი ნაციონალური კულტურის წარმოჩენა - გაცოცხლებითა და მათზე მუდმივი ზრუნვით უპირისპირდება.

ეს მათი ბედისწერა, ღვთიური მისიაა.

სწორედ ამ ნიშნითაა გამორჩეული ქართული კულტურული მემკვიდრეობის უანგარო ქომაგის, მრავალ კეთილ საქმეთა შემომქმედის, ქართველი მეცენატის - გია ოქრუაშვილის მოღვაწეობა. მისივე ქველმოქმედებით, დღის სინათლე იხილა და ფართო საზოგადოებას მიეწოდა წინამდებარე ნაშრომი, ასევე ამ სერიის წინა გამოცემც, რისთვისაც ბატონ გიას, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სახელით, ულრმეს მადლობას მოვახსენებთ.

პ. გერგაია

Сегодня, когда эпоха глобализации воспевает планетарную, или лишенную родины свободу, а первейшей заботой космополитических идеологов является гуманистическое устройство современного мира и разрешение извечных социальных проблем цивилизации, развитие национальной культуры и национальной самобытности, оживление-сохранение национального культурного наследия для грузин становится задачей эпохальной значимости.

Хотя фактом является и то, что избранная часть грузинских меценатов, ориентированная на национальные ценности и несущая печать народности, задачей которой является пропаганда, оживление и забота о многовековой национальной культуре, противостоит попыткам иностранных меценатов, действующих от имени цивилизации и прогресса, внедрить масскультуру в грузинское национальное самосознание. Таково их предназначение, делать богоугодные дела.

Именно это стало отличительным знаком бескорыстного приверженца грузинского культурного наследия, автора многих добрых дел, грузинского мецената Гии Окруашвили. Результатом его боготворительности является и настоящий труд, предлагаемый вниманию широкой общественности, как и предшествующие издания настоящей серии, за что от имени Департамента по охране памятников приносим батоно Гие нашу глубокую благодарность.

П. Гергая

УДК 72(879.22)
შ.621

ეძღვნება პედაგოგების - რუსუდან მეფისაშვილისა და ვახტანგ ცინცაძის ნათელ ხსოვნას
Светлой памяти педагогов Русудан Меписашвили и Вахтанга Цинцадзе

რედაქტორ-გამომცემელი - ხელოვნებათმცოდნე ცირა დადიანიძე
Редактор и издатель - искусствовед **Цира Дадианидзе**

რეცენზენტები:
Рецензенты:

გივი გაფრინდაშვილი - არქიტექტურის ისტორიკოსი, სპელეისტი, პროფესორი

**Гиви Гаприндашвили** - историк архитектуры, спелеист, профессор

გურამ ყიფიანი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი - პროფესორი

**Гурам Кипиани** - доктор исторических наук, профессор

პარმენ ზაქარაია
**Пармен Закарая**

მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
член-корреспондент Академии наук

სპონსორი - გია ოქრუაშვილი
Спонсор - **Гиа Окруашвили**

ISBN 99928-0-931-0
ISBN 99928-0-932-9

ჩვენს წინაშეა სერიის მეორე ტომი – შიდა ქართლი, ზნაურის, იგივე ყორნისის რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა. ვფიქრობთ, რომ არაა საჭირო იმის მტკიცება, თუ რამდენად საშურია ამ რაიონის არქიტექტურულ ძეგლთა პუბლიკაცია და რა დატვირთვას იძენს იგი.

წინამდებარე ნაშრომი ორწლიანი ექსპედიციის დაძაბული შრომის შედეგია. ესაა სტატისტიკური მონაცემების კრებული – ძეგლთა დოკუმენტაციის პუბლიკაცია, რომელიც საფუძველია მრავალმხრივი მეცნიერული კვლევისათვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ სინამდვილეში მსგავსი შრომები უაღრესად მცირეა, თუმცა

არა მხოლოდ მონაცემთა სიმრავლითაა ნაშრომი ღირებული, არამედ ზოგადი მნიშვნელობითაც, რადგან იგი აფართოებს ჩვენს თვალთახედვას არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში, როგორც დიდი კულტურული რეგიონის ერთ მცირე ნაწილზე. ამასთან, ზრდის გასაცნობიერებელ არეს. გაცნობიერება კი, მრავალ მიმართულებას სჭირდება. მათ შორის მოსახლეობის სულიერ მოთხოვნებს, რადგან არათუ სოფელი, სოფლის ყოველი თემი თხოულობს თავის "ღვთის სახლს".

ნაშრომში ასევე სრულადაა წარმოდგენილი საერო ნაგებობანი – ციხეები კოშკები და საფორტიფიკაციო დომინანტები. სამშენებლო მოღვაწეობის ეს ორი არსებითი მიმართულება მჭიდროდაა დაკავშირებული ერის ცნობიერებასთან. თანდართულ რუკაზეც კარგად იკითხება, თუ როგორ ენაცვლება ერთმანეთს კოშკი, ეკლესია, ციხე – ბრძოლისა და თავდაცვისათვის შექმნილი და სულიერისიმშვიდის მოსაპოვებელი ნაგებობანი.

ეჭვი სრულებით არ მეპარება იმაში, რომ ეს კრებული მრავალ საყურადღებო მეცნიერულ შრომას დაუდებს საფუძველს.

გურამ ყიფიანი

Перед нами второй том серии "Шида Картли" об архитектурном наследии Знаурского, или иначе Корнисского, района. Думаю, не стоит отдельно отмечать, насколько это завидное дело - публикация материала об архитектурных памяниках данного района и какую нагрузку оно приобретает. Это всем должно быть ясно.

Настоящий труд является результатом напряжённого, профессионального двухлетнего труда. Данный сборник содержит статистические данные, это публикация документации о памятниках - основа и отправная точка для различного рода научного исследования, здесь же следует отметить, что в грузинской действительности подобных трудов крайне мало.

Труд ценен не только обилием данных, но и своим общим широким значением. Он расширяет нам кругозор на архитектурное наследие конкретного географического ареала как малой части большого культурного региона, увеличивает поле его осмысления, необходимое для многих направлений нашей жизни, хотя бы для духовных потребностей населения - не только село, а каждая сельская община требует своего "Божьего дома". Кроме этого, в труде почти полностью представлены светские здания - замки и башни, фортификационные доминанты. Эти два существенных направления строительной деятельности - тесно переплетены в сознании нации. На прилагаемой карте хорошо прослеживается, как перемежаются башня, церковь, замок - сооружения, воздвигнутые не только для борьбы, самообороны и для обретения душевного покоя.

Совершенно не сомневаюсь в том, что сборник станет основой для многих значительных научных трудов.

Гурам Кипиани

# წინათქმა

ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე ისტორიული პროცესების ფონზე, კიდევ უფრო აქტუალური ხდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის საკითხი. კულტურული მემკვიდრეობა ხომ ერის ისტორიული შესაძლებლობებისა და მისი უკვდავი ღირებულებისადმი სწრაფვა-პატივისცემის უტყუარი ნიშანია. ამასთან, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობის ფონზე, კულტურულ მემკვიდრეობას ერის ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდისა და კულტურული დონის ამაღლების ფუნქციაც ენიჭება.

არადა, კაცობრიობის არსებობის ნებისმიერ კულტურულ-ისტორიულ ეპოქაში ადამიანები მუდმივად ესწრაფვოდნენ განეხორციელებინათ პიროვნული, ინდივიდუალური თავისუფლებანი. თავისუფლების ხარისხი კი, ყველაზე სრულად სწორედ კულტურულ მემკვიდრეობაში, ანუ მის მიერ შექმნილ უნიკალურ ძეგლებში ვლინდებოდა.

დღეს, როდესაც ხალხთა კულტურული ურთიერთობის გააქტიურება და ერთმანეთის სულიერი მონაპოვრებით გამდიდრება ხდება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, მისი უნიკალური ძეგლები საყოველთაო აღფრთოვანებისა და დაინტერესების საგანი ხდება როგორც საკუთრივ რეგიონში, ასევე, ევროპის კულტურულ სივრცეშიც.

ამ სახის მატერიალური კულტურის ძეგლებით, საქართველოს ერთიან კულტურულ სივრცეში, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი მრავალი ხოტბით შემკულ ზნაურის რაიონის ძეგლებსაც უკავია. მათი უნიკალურობის, ანუ ინდივიდუალობის ერთგვარი დასტურია ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი არქიტექტონიკა და მონუმენტური პლასტიკა.

1983-1984 წლებში საქართველოს ამ განუყოფელ ისტორიულ ნაწილში, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს თაოსნობით ეწყობოდა გამსვლელი ექსპედიციები. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამმართველოს თანამშრომლები: ხელოვნებათმცოდნე - ც.დადიანიძე; არქიტექტორები - ლ.ვარდოსანიძე და ლ.გიორგაძე; ისტორიკოსები - ბ.კუპრეიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი) და მ.ბაბაშიძე. ჯგუფის მიერ ზნაურის რაიონში დაფიქსირდა და აღიწერა მრავალი ძეგლი. აღმოჩნდა ბევრი ისეთი არქიტექტურული ნიმუშიც, რომელიც მანამდე აღრიცხული არ ყოფილა.

წინამდებარე წიგნი სწორედ ამ პერიოდში მოპოვებულ მასალებზეა აგებული.

და ბოლოს, კულტურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ხალხებს შორის თანაცხოვრებისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროს. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა კი, ასეთი თანაარსებობის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ, დადგა დრო შევურიგდეთ ისტორიას, გავიაზროთ წარსული, შევკრათ დროთა შორის, ჩვენ ორ მოძმე ხალხს - ქართველებსა და ოსებს შორის გაწყვეტილი ჯაჭვი. მხოლოდ მაშინ ვიგრძნობთ ჩვენს თავს ხალხად, რომელსაც გააჩნია საერთო სამშობლო.

პაატა ბერბაია

# Предисловие

На фоне происходящих в нашем обществе исторических процессов всё более актуальным становится вопрос охраны и спасения культурного наследия. Ведь культурное наследие - это непреложный знак уважения и стремления к историческим возможностям нации и её бессмертным ценностям. Наряду с этим, культурному наследию на фоне создавшегося в стране политико-экономического и общественно-культурного положения придаются функции ещё и морально-эстетического воспитания, и повышения культурного уровня.

Ведь в любую культурно-историческую эпоху существования человечества люди постоянно стремились к осуществлению личных, индивидуальных свобод. А качество свободы полнее всего проявляется именно в культурном наследии, вернее, в тех уникальных памятниках, которые и составляют это наследие.

Сегодня, когда происходит интенсивный культурный обмен между народами и взаимообогащение духовными достижениями, культурное наследие Грузии, её уникальные памятники стали предметом всеобщего восторга, как непосредственно в регионе, так и в европейском культурном пространстве.

В ряду подобных памятников материальной культуры, в едином культурном пространстве Грузии, одно из видных мест занимают и неоднократно восхвалённые памятники Знаурского района. Своего рода свидетельством их уникальности и неповторимой индивидуальности может служить, архитектоника и монументальная пластика присущая раннему и развитому средневековью.

В 1983-1984 годах в этой неотделимой исторической части Грузии при почине Главного управления по охране памятников устраивались выездные экспедиции. В работе экспедиции принимали участие сотрудники Управления: искусствовед Ц.Дадианидзе, архитекторы Л.Вардосанидзе и Л. Гиоргадзе, историки Б.Купреишвили (руководитель экспедиции) и М.Абашидзе. Группой был обнаружен и описан не один памятник в Знаурском районе. Среди них оказались и такие образцы зодчества, которые ранее не были фиксированы.

Данная книга была создана именно по материалам, собранным в тот период.

И, наконец, культурное наследие в значительной степени обусловливает атмосферу сосуществования и взаимного доверия между народами. А территориальную целостность страны невозможно представить без такого сосуществивания. Поэтому, настало время, когда нам следует примириться с историей, осмыслить прошлое, наладить разорванную цепь времён между двумя братскими народами - грузинским и осетинским.

***Паата Гергая***

## სოფ. ავნევი, ადგილი "გორა"

# ნაეკლესიარი

### გვიანი შუა საუკუნეები

ნაეკლესიარი შემორჩენილია რიყის ქვის გროვის სახით. ნაეკლესიარზე ადრე ხის შენობა დაუშენებიათ, შემდეგ ისიც დაუნგრევიათ. აქაიქ ჩანს საძირკვლის ფრაგმენტები. ტერიტორიაზე დევს გაურკვეველი დანიშნულების დიდი ზომის თლილი ქვა.




*გეგმა. План*



*აღმოსავლეთი ფასადი. Восточный фасад*

## с.Авневи, местность "Гора"

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### Позднее средневековье

От церкви осталась лишь груда камней. Кое-где можно проследить фрагменты фундамента. В более позднее время на развалинах церкви была построена деревянная постройка, впоследствии разрушенная.

## სოფ. ავნევი, მიდამოები

# ნაეკლესიარი ყვავის საყდარი

### გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესიის გეგმიდან იკითხება მხოლოდ საძირკვლის ფრაგმენტები. შეინიშნება აბსიდის მოხაზულობა და ჩრდილოეთი კედლის მცირე ნაწილი.

ტერიტორიაზე მიმობნეულია ფლეთილი ქვა.



*ტრაპეზის ქვა. Престол*

## с.Авневи, окраина

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ "КВАВИС САКДАРИ"

### Позднее средневековье

Церковь лежит в развалинах. Можно проследить лишь фрагменты фундамента, очертание абсиды и малую часть северной стены.




*გეგმა. План*



*საერთო ხედი. Общий вид*

## სოფ. ალიბარი, ადგილი "ჭინჭრები"

# ეკლესიის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია აბსიდის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილი. ჩრდილოეთით სწორკუთხა ნიშია. სამხრეთით იკითხება აბსიდის მხარის ქვედა ქვა.

დანარჩენი კედლები მიწის პირამდეა დანგრეული.




*გეგმა. План*

## с.Алибари, местность "Чинчреби"

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### Позднее средневековье

От памятника уцелели лишь части северной и южной стен. В северной стене сохранилась ниша. Остальное лежит в развалинах.



*ხედი აღმოსავლეთიდან. Вид с востока*

# სოფ. ალიბარი

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

ოთხკუთხა კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. კოშკის კედლები შემორჩენილია 4-5 მეტრის სიმაღლეზე. ალაგ-ალაგ ჩანს სართულშუა გადახურვის კოჭის ბუდეები. კოშკში შესასვლელი სამხრეთიდანაა, დაზიანების გამო მისი ფორმა არ იკითხება.




*გეგმა. План*



*კედლის ფრაგმენტი. Фрагмент стены*



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Алибари

## БАШНЯ

**Позднее средневековье**

Четырёхугольная башня возведена из рваного камня. Высота стен достигает 4-5 м. Междуэтажное перекрытие рухнуло. Уцелели лишь гнезда от деревянных балок. Вход в башню прорезан в южной стене, но определить форму дверного проёма из-за сильного повреждения невозможно.

## სოფ. ალიბარი

## ძველი ნაგებობის ნაშთი

**გვიანი შუა საუკუნეები**

ნაგებობის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა,დუღაბი სქელია. ნაგებობის გეგმა სწორკუთხედს წარმოადგენს, კედლების სიმაღლე 20-25 სმ-ს აღწევს. ძეგლის სახეობის დადგენა არ ხერხდება.

## с.Алибари

# РАЗВАЛИНЫ СТАРОГО ЗДАНИЯ

**Позднее средневековье**

В качестве строительного материала был использован рваный камень. В плане здание прямоугольное. Стены сохранились на высоте 20-25 см.



*საერთო ხედი. Общий вид*

## სოფ. ბალთა

# ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები

ძეგლი ნაგებია დიდი ზომის ფლეთილი ქვით. ალაგ-ალაგ წყობაში შერეულია წვრილი ქვაც.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ტრაპეციის ფორმით აბსიდით, რომლის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო ღრმა, სწორკუთხა ნიშია. კონქი ოდნავ შებრტყელებულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. სამხრეთი, დასავ-




*გეგმა. План*

ლეთი და ჩრდილოეთი კედლების სიმაღლე 3-4 მეტრს აღწევს. კედლების დაზიანების გამო სარკმლები არ იკითხება.

კამარა ჩამოქცეულია. კედლები დეფორმირებულია. ფასადებს საპირე ქვა  შემოცლილი აქვს. ინტერიერში და ძეგლის გარშემო ყრია ჩამონაშალი ქვა.

## с.Балта

## ЦЕРКОВЬ

### Позднее средневековье

Возведена церковь из рванного камня. Прямоугольное в плане здание с востока завершено абсидой. В абсиде окно, по обеим сторонам от окна расположены ниши. Высота южной, северной и западной стен достигает 3-4 м. Оконные проёмы не уцелели.

Свод  рухнул, стены деформированы, фасады ободраны.



***სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент южного фасада***



*ტრაპეზის ქვა. Престол*

## სოფ. ბალთა

## ეკლესიის ნანგრევი

### შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია დასავლეთი კედლის საძირკვლის მცირე ნაწილი. აქვე დგას ტრაპეზის ქვა. ტერიტორიაზე ყრია თლილი ქვა.

## с.Балта

## РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### Средневековье

Церковь лежит в развалинах. Можно проследить малый фрагмент западной стены. Тут же стоит престол. Строительный материал - тёсаный камень - разбросан по всей территории.

# სოფ. ბალთა

## ეკლესიის ნანგრევი

### განვითარებული შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია აბსიდის მცირე ნაწილი. დანარჩენი კედლები არ შეინიშნება. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა. ირგვლივ ყრია ჩამონაშალი ქვა, მათ შორის, მცირე რაოდენობით არის თლილი ქვაც.

ნაგებობის გეგმა არ იკითხება.




*გეგმა. План*



*აღმოსავლეთი ფასადი. Восточный фасад*

## с.Балта

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### Развитое средневековье

От зальной церкви уцелела лишь часть абсиды. Остальное лежит в развалинах. В развалинах кое-где прослеживаются тёсаные квадры. В качестве строительного материала так же была использована булыга.

## სოფ. ბალთა

# ქვირაცხოვლის ეკლესიის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია აგებულია დიდი ზომის, ნაცრისფერი თლილი ქვის კვადრებით. ნაგებობა გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილია შემორჩენილი ნიშით. საკურთხევლის კედლის სიმაღლე 1-2 მეტრს აღწევს. ეკლესიის დასავლეთი კედლის სიმაღლე 2 მეტრია, ჩრდილოეთი კი ფრაგმენტულად იკითხება, სამხრეთი კედელი, მხოლოდ 40 სმ-ის სიმაღლეზე ჩანს.

ძეგლის ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.




*გეგმა. План*



*ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტი. Фрагмент северо-восточной стены*

## с.Балта

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ КВИРАЦХОВЕЛИ

### Позднее средневековье

Возведён памятник большими тёсаными квадрами сероватого цвета. Церковь в плане прямоугольная, с востока имеет абсиду, от которой уцелела лишь северная часть с нишей. Высота стен достигает 1-2 м. Западная стена сохранилась на высоте 2 м., Южная достигает 40 см. Северная же прослепливается фрагментарно.

# სოფ. ბალთა, სასაფლაოზე

# ეკლესია კომნაძე

## განვითარებული შუა საუკუნეები

დარბაზული ეკლესია ნაგებია მოყვითალო ქვიშაქვის კვადრებით, ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.



გეგმა. *План*

ნაგებობა გეგმით არაწესიერ სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის



*აღმოსავლეთი ფასადი. Восточный фасад*

ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. აბსიდის ჩრდილოეთ-ით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშია. სარკმლის ძირში ტრა-პეზის ქვა დევს. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი კრონშტეინ-ებს ეყრდნობა. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით.

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. დასავლეთ კედელში გაჭრილი სარკმელი სწორკუთხაა.

ნაგებობის კარნიზი მარტიეპროფილიანია.

ეკლესიის საბურავი აცვენილია. აღმოსავლეთ ფასადს საპირე ქვა შემოცლილი აქვს.

## с.Балта

## ЦЕРКОВЬ "КОМНАДЗЕ"

### Позднее средневековье

Зальная церковь возведена квадрами желтоватого песчаника, кое-где в кладке просматривается мелкий камень. Прямоугольное здание с востока завершено абсидой. В центре абсиды прорезано окно, по обеим сторонам которого расположено по одной нише. В алтаре стоит престол.

Фасады церкви ободраны. Карниз здания имеет простой профиль.



*სამხრეთი ფასადი. Южный фасад*

# სოფ. ბალთა

# ღვთისმშობლის ეკლესია

## შუა საუკუნეები

დარბაზული ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად თლილი, მოყვითალო ქვით.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრალური ნაწილი ჩამონგრეულია. ჩრდილოეთით ჩანს აბსიდის მხარი. სამხრეთის




*გეგმა. План*



*საერთო ხედი. Общий вид*

კედელი მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია ჩრდილო-დასავლეთის კუთხე და ჩრდილოეთის კედელი ფრაგმენტულად. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 30-40 სმ-ს აღწევს.

ძეგლის ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.

## с.Балта

# ЦЕРКОВЬ ГВТИСМШОБЕЛИ

### Позднее средневековье

Зальная церковь возведена грубо из тёсаного желтоватого камня. Здание в плане прямоугольное, с востока завершено полукруглой абсидой, центральная часть которой обвалилась.

Южная стена церкви совершенно разрушена. Фрагментарно можно проследить юго-западный угол и часть северной стены. Высота оставшихся стен - 30-40 см.



*აღმოსავლეთი ფასადი. Восточный фасад*

## სოფ. ბეყმარი

# ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი

### შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლების მცირე ნაწილი, რომელთა სიმაღლე 60-70 სმ-ს აღწევს. ტერიტორიაზე ყრია სამშენებლო ქვები, მათ შორის, ბალავრის ქვა და სვეტისთავი.

გაწმენდის გარეშე ძეგლის დათარიღება შეუძლებელია.



*ბალავრის ქვის ფრაგმენტი. Фрагмент архитрава*



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Бекмари

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ ГВТИСМШОБЕЛИ

### Средневековье

От церкви уцелела лишь часть северной и западной стен, высота которых достигает 60-70 см.

Остальное лежит в развалинах. Среди камней выделяется архитрав двери и капитель.

Без особой расчистки датировка памятника не возможна.

## სოფ. დიდმუხა

# ეკლესიის ნანგრევი

### შუა საუკუნეები

ჩვენამდე მოღწეულია ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ქვედა ნაწილი და ჩრდილოეთი კედლის საძირკველი. შემორჩენილია ფლეთილი ქვა. გეგმა არ იკითხება.



***საერთო ხედი. Общий вид***

## с.Дидмуха

## ЦЕРКОВЬ

### Средневековье

Здание лежит в развалинах. Уцелели лишь нижная часть северо-западного угла и фундамент северной стены. План проследить невозможно. Среди груды камней доминирует булыга.

## სოფ. ვახტანა, მიდამოები

## ეკლესიის ნანგრევი

### განვითარებული შუა საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს გომართის მთაზე, ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხაა. აღმოსავლეთით დასრულებულია, ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილია შემორჩენილი ოთხკუთხა ნიშითა და ორსაფეხუ-



*ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. Вид с северо-запада*

რიანი შვერილით. საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა. ჩრდილოეთ კედელს ორსაფეხურიანი პილასტრი ორ ტოლ ნაწილად ჰყოფს. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია კედლის პილასტრი.




*გეგმა. План*

არქიტრავული შესასვლელი გაჭრილია დასავლეთ კედელში.

ეკლესიის თაღ-კამარა და კედლის დიდი ნაწილი ჩამოქცეულია. სამხრეთი კედელი მთლიანად დანგრეულია. ეკლესიაში მიწის დონე აწეულია.



*დასავლეთი ფასადი. Западный фасад*

## с.Вахтана, окрестности "Гомартис мта"

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### Развитое средневековье

Зальная церковь возведена из рваного камня. С востока завершена абсидой. От абсиды сохранилась лишь северная часть с нишей и двухступенчатым выступом. В алтаре стоит престол. На северной стене уцелела двухступенчатая пилястра. Такая же пилястра частично сохранилась в северо-западном углу. Вход в церковь устроен в западной стене.

Памятник сильно повреждён. Обвалились свод конха и большая часть стен. Южная стена развалилась.



*საკურთხევლის კედლის ფრაგმენტი. Фрагмент алтаря*

## სოფ. ვახტანა, სასაფლაოზე

# ძველი ნაგებობის ნაშთი

### გვიანი შუა საუკუნეები

ღვთისმშობლის ეკლესიის აღმოსავლეთით 200 მ-ის მოშორებით შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი.

ნაგებობა გეგმით ოთხკუთხაა. სამხრეთი კედელი მთლიანად ჩამონგრეულია. დანარჩენი კედლების სიმაღლე 50-სმ-ს აღწევს.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია ყორექვა. ტერიტორიაზე მიმობნეულია ჩამონაშალი ქვა.



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Вахтана

# РАЗВАЛИНЫ СТАРОГО ЗДАНИЯ

### Позднее средневековье

В 200 метрах западнее церкви Гтвисмшобели уцелели развалины четырёхугольного здания. Южная стена совершенно разрушена, остальные стены сохранились на высоте 50 см. В качестве строительного материала была использована булыга.




*გეგმა. План*

# სოფ. ვახტანა
# ეკლესიის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები

ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთით, 100 მეტრში შემორჩენილია ეკლესიის ნაშთი. ჩანს დასავლეთი კედლის მცირე ნაწილი, რომლის სიმაღლე 40 სმ-ს აღწევს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა.



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Вахтана

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### Позднее средневековье

В 100 метрах к северу от церкви Гвтисмшобели сохранились развалины церкви. Можно проследить незначительную часть западной стены, высота которой достигает 40 см. Среди груды камней доминирует булыга.

## სოფ. ვახტანა

# ნაეკლესიარი სტელით - გომართის სალოცავი

### შუა საუკუნეები

სოფლიდან 3 კმ დაშორებით, გომართის გზაზე შემორჩენილია ნაეკლესიარი (თლილი ქვის გროვა), ქვის სტელით. ადგილობრივი



*სტელა ჯვარცმის რელიეფური გამოსახულებით*
*Стела с рельефным изображением "Распятия"*

მაცხოვრებლების გადმოცემით, მლოცველები გომართის ეკლესიასთან მისვლამდე ამ სტელასთან ლოცულობდნენ. 0,78 მ სიმაღლის პრიზმულ ქვაზე ჯვარცმის სცენის რელიეფური გამოსახულებაა. ფიგურის თავი დაზიანებულია. სტელის ზედა, მარცხენა კუთხე ჩამოტეხილია.

## с.Вахтана

## СТЕЛА НА РАЗВАЛИНАХ ЦЕРКВИ

### Средневековье

В 3 км. от селения Вахтана на пути в Гомарти на месте древней церкви осталась груда тёсаных камней, среди которых возвышается монолитная каменная стела высотой 0,78 м.

На стеле дано рельефное изображение сцены "Распятия". Голова фигуры повреждена. Верхняя левая часть стелы отломлена.

## სოფ. ზემო ოძონა

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.

გეგმით კვადრატული კოშკი შემორჩენილია ორი სართულის დონეზე. პირველი სართული ყრუა. მეორე სართულის ჩრდილოეთ კედელში ერთი სათოფურია გაჭრილი. დასავლეთ კედელში ბუხრის კვალი შეინიშნება.

სართულშუა გადახურვა ჩამონგრეულია. შემორჩენილია კოჭის ბუდეები.

კოშკის სამხრეთით მიშენებულია სათავსი, რომელიც პირადი სარგებლობისთვის აუგია ერთ-ერთ მაცხოვრებელს.



*კოშკის ინტერიერის ფრაგმენტი. Башня, фрагмент интерьера*

## с.Земо Окона

## БАШНЯ

**Позднее средневековье**

Башня возведена из рваного камня. От квадратного в плане здания сохранилось два этажа. Первый этаж башни глух, второй этаж, видимо, служил жилым помещением. Прослеживаются фрагменты камина.

Междуэтажное перекрытие обвалилось, остались лишь гнезда от балок.

## სოფ. ზემო ძაღინა, ძველ სასაფლაოზე

## ეკლესია ამაღლება (ნანგრევი)

**შუა საუკუნეები**

ეკლესიიდან შემორჩენილია ჩრდილოეთი კედლის მცირე ნაწილი. სამშენებლო მასალად გამოყენებულია თლილი ქვა. ეკლესიის დანარჩენი კედლები არ იკითხება. ძეგლის დათარიღება გაწმენდის გარეშე შეუძლებელია.

## с.Земо Дзагина

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ АМАГЛЕБА

**Средневековье**

Церковь лежит в развалинах, вокруг нее древнее кладбище. От памятника уцелела незначительная часть северной стены. В качестве строительного материала был использован тёсаный камень.

Без особой расчистки датировка церкви не возможна.



*ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი.*
*Фрагмент северной стены*

## სოფ. ზემო ძაღინა

# ციხის კომპლექსი

### სასახლე, კოშკი - XVII ს.
### მაცხოვრის ეკლესია - განვითარებული შუა საუკუნეები

ვახუშტის მიხედვით: "ძაღინას არს ციხე და სასახლე".

იოანე ბატონიშვილის აღნიშვნით, ამ ეპოქაში ძაღინაში ფალავანდიანები (ფალავანდიშვილები) ცხოვრობდნენ.

სოფელი ძაღინა მდებარეობს მდინარეების ფრონესა და ოყორას შესართავში, ზნაურ-ცხინვალის სამანქანო გზიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით. კომპლექსი შემაღლებულ ადგილზე მდებარეობს. სასახლე და კოშკი ერთი სამშენებლო პერიოდისაა, ეკლესია კი განვითარებულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. სასახლე ნაგებია აგურით, ხოლო კოშკის საშენ მასალად გამოყენებულია ადგილობრივი ნატეხი ქვა. კოშკის თაღები და კამარები აგურისაა.

სასახლე ერთსართულიანი იყო. ოთახების განთავსება ანფილა-



გეგმა. *План*

დურია. ნაგებობის ძირითად ბირთვს დიდი დარბაზი და მის წინ მდებარე მოზრდილი ლოჯია წარმოადგენდა. გაგრძელებაზე, ორივე მხარეს, კიდევ ორ-ორი კვადრატული ოთახია. ლოჯია დარბაზს მაღალი თაღოვანი შესასვლელით უკავშირდება. დარბაზს პილასტრებით დანაწევრებული კედლები აქვს. დასავლეთ კედელში ბუხარია მოწყობილი. ბუხრის ორივე მხარეს სარკმლები და თითო ნიშია. ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ბოლოებში მდებარე ოთხივე ოთახი. დარბაზი ოთახებს დია თაღედით უკავშირდება. ოთახები განათებულია მაღალი, შეისრულთაღიანი სარკმლებით. დასავლეთი კედელი მთელ სიგრძეზე დანაწევრებულია ნიშებით. ოთახები გადახურული იყო კედლებიდან გადაყვანილი საბრჯენი თაღებით შეკრული კამარით. ამჟამად შემორჩენილია მათი საწყისი წყობა.

სასახლის ფასადების გაფორმების ძირითად ელემენტად გამოყენებულია ორიარუსიანი კარ-სარკმელი, ხოლო ცენტრში მდებარე ლოჯია ხის სვეტებითა და მოაჯირით იყო გამოყოფილი.

სასახლესთან დაკავშირებული ხუთსართულიანი კოშკი კვადრატული ფორმისაა. სართულებს ერთმანეთთან აკავშირებს კედლის შიგნით მიმავალი ქვის კიბე. კოშკის პირველ და მეორე სართულს კოჭოვანი გადახურვა ჰქონია, ხოლო დანარჩენს - კამაროვან-გუმბათოვანი.

კოშკის პირველი სართული ქვევრებიან მარანს წარმოადგენს. იქვე კედელში მოწყობილია მილი, რომლითაც გარედან ღვინო შემოჰქონდათ.

მეორე სართული აგურის გუმბათით გადახურულ კვადრატულ სადგომს წარმოადგენს. ჩრდილოეთ კედელში ბუხარია მოწყობილი. ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ კედლებში წვრილსათოფურიანი ორ-ორი, ჰორიზონტალურად გაჭრილი ხვრელია. ერთადერთი სარკმელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. იგი იმდენად პატარაა, რომ ოთახში თითქმის სიბნელეა.

მესამე სართულის ოთახი გაცილებით მეტი დეკორატიულობით

გამოირჩევა. მას ამშვენებს ვარსკვლავისებრი კამარა, რომელიც ოთხ ტრომპსა და კედელზე დაკიდებულ ოთხ თაღს ეყრდნობა. ამ სართულსაც საკუთარი ბუხარი აქვს. სათოფურები აქაც სამი მხრიდან არის მოწყობილი. აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებში თითო სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მესამე სართულის აღმოსავლეთ კედელში ორი კარია. ერთი - შესასვლელი, ხოლო მეორე - ზედა სართულზე ასასვლელი. ამ სართულის კიბის უჯრედში, შესასვლელ კართან, მცირე სადგომია, რომელსაც იატაკში საკანალიზაციო მილი აქვს დაყოლებული.

მეოთხე სართული დაბალია. იგი ხით ყოფილა გადახურული. ბუხარი ამ სართულის დასავლეთ კედელშია მოწყობილი. მას ყოველი კედლის შუაში ხვრელები აქვს დაყოლებული. ხვრელები იატაკიდან იწყება. მეოთხე სართული მთავარი საბრძოლო სართული უნდა ყოფილიყო.

ბოლო - მეხუთე სართული, ყველაზე ეფექტურია. იგი მთელ სიმაღლეზე, სამი მხრიდან გახსნილია დიდი თაღებით, ხოლო მეოთხე, ყრუ კედელში ბუხარია მოწყობილი. ეს სართული გადახურულია აგურის გუმბათით, რომელიც ტრომპებს ეყრდნობა. ნაწილობრივ შემორჩენილია გუმბათის წყობა.

კომპლექსის დარბაზული ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. კუთხეებში და ღიობებში გამოყენებულია ნაცრი-



*სასახლის ინტერიერი. Интерьер дворца.*

სფერი თლილი ქვა. ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა. აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშია. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით. კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლების დაზიანების გამო მხოლოდ დასავლეთი სარკმლის მცირე ნაწილი შეინიშნება.

ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან ჰქონდა. დასავლეთის თაღოვანია, სამხრეთისა კი დაზიანებული. მისი ფორმა არ იკითხება.

ეკლესიაში შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

### с.Дзагина

## КОМПЛЕКС КРЕПОСТИ

### ДВОРЕЦ, БАШНЯ - XVII В.
### ЦЕРКОВЬ МАЦХОВАРИ - РАЗВИТОЕ СРЕДНОВЕКОВЬЕ

Историк Вахушти даёт короткое сообщение, "В Дзагина имеются крепость и дворец".

У слияния двух рек - Проне и Ожора, на возвышенном месте стоит



*ზემო ძაღონა. კოშკის ფრაგმენტი. Фрагмент башни*

дворец, башня и церковь.

В XVII века местный правитель из рода Палавандишвили избирает это защищенное высокими горами место для строительства своей резиденции и в 200-ах метрах от существовавшей башни с оградой, строит свой жилой дом с башней, церковь и хозяйственные помещения, разбивает сады и виноградники. Из них сохранились лишь дом и церковь, и то в сильно поврежденном виде.

Дворец, состоящий из жилого дома и башни, возведен из кирпича. В стенах проложены деревянные балки. Комнаты были перекрыты, ныне частично уцелевшими, кирпичными сводами. Здание имело двухскатную кровлю. Окно и двери здания завершены арками стрельчатого очертания. Со стороны главного фасада комнаты освещались большими окнами. Стены были оштукатурены, возможно, расписаны.

Планировка дворца рассчитана на удобство: центральная часть - зал с передним балконом, открытый в сторону ущелья. В боковых частях здания расположены небольшие комнаты. В комнатах устроены ниши и камины.

Пятиэтажная башня возведена одновременно с домом и сообщается с ним дверью. В стенах второго и третьего этажей башни прорезаны бойницы.



*საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. Общий вид с юго-востока*

В качестве строительного материала был использован бут, своды и арка кирпичные. В нижнем этаже башни устроен марани. Особо решена планировка пятого этажа. Он с трех сторон открыт большими арками. Этажным перекрытием служил звездообразный свод, от которого уцелела небольшая часть.

Церковь "Мацховари" зальная, средних размеров. Стены возведены из бута, углы и проемы выведены светло-серым тёсаным камнем. Уцелела лишь северо-восточная часть памятника, свод, западная и южная стены отсутствуют. Вход в церковь был с юга и запада. В интерьере церкви слабо прослеживаются следы росписи.

## სოფ. ზემო ძაღინა

## ქვედაციხე

### XIII-XIVსს.; XVI-XVII სს.

ვახუშტის მიხედვით: "ძაღინას არს ციხე და სასახლე". იოანე ბატონიშვილის აღნიშვნით, ამ ეპოქაში ძაღინაში ფალავანდიანი (ფალავანდიშვილები) ცხოვრობდნენ.

მცირე ზომის ციხე-კოშკი დგას სოფლის ცენტრში. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა. ეტყობა სხვადასხვა დროის სამშენებლო ფენა. ციხის მეტი მდგრადობისათვის ეზო მიწით ამოუვსიათ.

ციხის თავდაპირველი ნაწილი შედგებოდა კოშკისა და ოვალურად შემოწერილი გალავნისაგან. ძეგლი 4 ქრონოლოგიური ფენისაგან შედგება. კოშკებისა და გალავნის უძველესი ნაწილი XIII-XIV სს. თარიღდება. XVI-XVII სს. გაუმაგრებიათ კოშკი და გალავანი. XVIII საუკუნეს მიეკუთვნება გალავნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. გალავანში ორი ფენაა. ძველი ფენის კედლის სისქე თითქმის ორ მეტრამდეა. პირველი ფენა ყრუ კედლებითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე ფენაში სათოფურებია გაჭრილი. ციხეში შესასვლელი გაჭრილია სამხრეთ კედელში. ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ნახევარწრიული კონტრფორსები აქვს.

გალავნის სამხრეთის ცენტრალურ ნაწილში ჩართულია ოთხსართულიანი, ოთხკუთხა კოშკი, რომელსაც აქვს საბრძოლო ტერასა.

კოშკის პირველი სართული ამოვსებულია მიწით.

მეორე სართულის დასავლეთ კედელში გაჭრილია შიგნით შეი-

სრულთაღიანი, გარეთ არქიტრავული კარი. ამავე კედელშია სათოფურებიც.

მესამე სართულზე, აღმოსავლეთით ორი სარკმელია, ჩრდილოეთით ერთი.

მეოთხე სართულს ქვის კამარა აქვს. კამარის საბრჯენი დასავლეთის თაღი უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთისა. ამავე სართულს დასავლეთიდან ერთი სარკმელი აქვს, კარი გაჭრილია აღმოსავლეთით.

სართულები ერთმანეთს ხის კიბით უკავშირდებოდა. კოშკის სამშენებლო მასალა ფლეთილი ქვაა.

ციხის სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში კოშკისმაგვარი ნაგებობა მიუდგამთ. ნაგებობის გეგმა არასწორი კონფიგურაციისა. კედლებიც სხვადასხვა სისქისაა. შესასვლელი გაჭრილია მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელში.

პირველი სართული ნახევრამდე ამოვსებულია მიწით. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში მცირე სარკმლებია.

მეორე სართული განათებულია აღმოსავლეთის და სამხრეთის სარკმლებით. სამხრეთი სარკმლის გვერდებზე სათოფურებია. მესამე სართულს გააჩნია ორი სათოფური და ჩრდილოეთი შესასვლელი.



*ზემო ძაღინა, საერთო ხედი. Общий вид*

მეოთხე სართულის ზედა ნაწილი ჩამონგრეულია. დასავლეთით შემორჩენილია ორი სათოფური და ჩრდილოეთი შესასვლელი. სართულშუა გადახურვა ჩამონგრეულია. კოშკის მეორე, მესამე და მეოთხე სართულები ხის კიბეებით უკავშირდება ციხის შიდა ეზოს.

### с.Дзагина

## КРЕПОСТЬ КВЕДАЦИХЕ

### XIII-XIV вв., XVI-XVII вв.

Крепость небольших размеров стоит в центре села. Она много раз подвергалась переделкам. По развалинам можно различить четыре хронологических слоя.

Для усиления боеспособности искуственным путем был поднят двор крепости. Изначально к крепости примыкала башня. Они были обнесены овальной оградой. Ограда имела толщину около двух метров. К этой ограде местами пристроен второй хронологический слой. В фрагментах старой ограды имеется вход с северной стороны. С внешней стороны стены



***ზემო ძაღინა, საერთო ხედი. Общий вид***

крепости, на гранях имеются небольшие контрфорсы.

Башня не дошла до нас в первоначальном виде.

Четырёхэтажная башня имеет боевую террасу. Первый этаж сооружения засыпан землой. На втором этаже имеется вход и амбразуры. В стенах третьего этажа три окна, одно - в северной стене, и два - в восточной. Четвертый этаж, в отличие от других с деревянными перекрытиями, имеет каменный свод.

В плане башня - кривой, неправильный четырёхугольник. Свод поддерживают две подпружные арки, из них западная выше, чем восточная.

Стены башни возведены из бутового камня. В нижних частях использованы камни крупных размеров.

Западная часть южной стены решена иначе. С этой стороны крепость имеет пристройку. План пристройки имеет неправильную конфигурацию. Толщина стен разная. На втором этаже в восточной стене устроен вход, единственный, через который можно было попасть в крепость.

Первый этаж засыпан землей и обвалившимися камнями. Второй, третий и четвертый этажи пристройки имели отдельное сообщение со двором крепости. Со стороны двора этажи, вероятно, имели деревянные лестницы.

В качестве строительного материала был использован некрупный бутовый камень.

## დაბა ზნაური

## ღვთისმშობლის ეკლესია

### ადრე შუა საუკუნეები

დარბაზული ეკლესია აგებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა. აღმოსავლეთით დასრულებულია ნალისებრი აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა ნიშებია. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია ვიწრო შვერილებით.

სამხრეთ კედელში გაჭრილია ვიწრო, თაღოვანი სარკმელი. შეისრულთაღიანი შესასვლელიც სამხრეთიდანაა. კარი ნათთხალია. შესასვლელის თავზე სწორკუთხა ნიშია. აღმოსავლეთ სარკმელს ლილვი აჩარჩოებს. სარკმლის თავზე ჩადგმულ კვადრზე ჯვრის რელი-

ეფური გამოსახულებაა.

ეკლესიას ეტყობა გვიანდელი შეკეთება-გადაკეთების კვალი. ადგილობრივ მოსახლეობას ეკლესია შიფერით გადაუხურავს.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები დაბზარულია. ეკლესიის გარშემო მიწის დონე აწეულია.




*გეგმა. План*

## Даба Знаури

# ЦЕРКОВЬ ГВТИСМШОБЕЛИ

### Раннее средневековье

Зальная церковь возведена рваным камнем. Прямоугольное в плане здание с востока имеет подковообразную абсиду. В центре абсиды арочное окно, по обоеим сторонам которого расположено по одной нише.

В южной стене прорезаны арочное окно и стрельчатый вход.

Фасады церкви просты. Единственным декоративным акцентом является рельефный крест над восточным окном.

Конха и свод церкви рухнули, стены деформированы.



*სამხრეთი ფასადი. Южный фасад*

## სოფ. თერეგვანი, ძველ სასაფლაოზე

# ეკლესია მთავარმოწამე

### გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია აბსიდის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების ნაწილი, მათში მოთავსებული სწორკუთხა ნიშებით. ამ კედლების სიმაღლე 1 მეტრს აღწევს.

ნაგებობის დანარჩენი კედლები ფრაგმენტულად იკითხება. სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ყორექვა.



*ეკლესიის ინტერიერი, ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტი.*
*Интерьер церкви, фрагмент северо-восточной стены.*

## с.Терегвани

# ЦЕРКОВЬ МТАВАРМОЦАМЕ

### Позднее средневековье

От церкви уцелели северная и южная стены, абсиды с нишами. Высота стен достигает 1 м. Остальное лежит в развалинах. В качестве строительного материала был использован бут.

Вокруг церкви расположено древнее кладбище.




*გეგმა. План*

## სოფ. თერგვანი

# ეკლესიის ნანგრევი მთავარცხეთა

### შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია ჩრდილოეთი კედლის მცირე ნაწილი და ტრაპეზის ქვა. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა. ნაეკლესიარის აღმოსავლეთით 500 მეტრში შეინიშნება კედლის ფრაგმენტები.

## с.Терегвани

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ МТАВАРЦХЕТА

### Средневековье

От церкви уцелели часть северной стены и престол. Остальное лежит в развалинах. В качестве строительного материала был использован рваный камень.



*საერთო ხედი. Общий вид*

В 500 метрах от развалин можно проследить фрагмент стены неизвестного здания.

## სოფ. თერეგვანი

# მაცხოვრის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ-ზე, მდ. ოყორას მარცხენა ნაპირზე მდებარე დარბაზული ეკლესია ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით. კუთხეებში გამოყენებულია ნაცრისფერი შირიმის ქვა, ხოლო მარკანტული ნაწილებისათვის გამოყენე-



*გეგმა. План*

ბულია ნაცრისფერი, კარგად თლილი ქვა.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთით დასრულებულია ღრმა ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია მაღალი, შეისრულთაღიანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით, ასევე შეისრულთაღიანი და სწორკუთხა ნიშებია. სამხრეთით ორი სწორკუთხა ნიშია. გრძივი კედლების აღმოსავლეთ, ზედა მონაკვეთში სამალავებია. მათში განათება თითო სწორკუთხა სარკმლით ხდება. სფერული კონქის მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილია შემორჩენილი. სატრიუმფო თაღი იმპოსტებს ეყრდნობოდა. ინტერიერში პილასტრი ჩრდილოეთ კედელს ორ თანაბარ მონაკვეთად ჰყოფს. კამარის საბრჯენი თაღი იმპოსტებს ეყრდნობოდა, რომელიც თავის მხრივ პილასტრზეა დაბჯენილი. პილასტრს ეყრდნობა კედ-



***აღმოსავლეთი ფასადი. Восточный фасад***

ლის თაღებიც. ერთ-ერთი თაღის მალში მაღალი, შეისრულთაღიანი სარკმელია გაჭრილი.

ეკლესია დაზიანებულია, ჩამოქცეულია კამარა; შემორჩენილია ჩრდილოეთი კედელი და დასავლეთი კედლის ფრაგმენტები. ჩრდილოეთი კედლის სიმაღლე 10 მეტრს აღწევს.

## с.Терегвани

# ЦЕРКОВЬ МАЦХОВАРИ

### Позднее средневековье

В двух км. юго-западнее села Терегвани, на левом берегу реки Ожора, возвышается зальная церковь. В качестве строительного материала были использованы рваный камень и бут. Углы и конструктивные части выведены серыми квадрами ширими.

Прямоугольная в плане церковь с востока имеет глубокую абсиду, в центре которой прорезано окно со стрельчатой аркой. Такие же ниши расположены по обеим сторонам окна.

В верхней восточной части продольных стен устроены тайники, которые освещались одним окном.



*ინტერიერი. საკურთხეველი. Интерьер, алтарь*

Внутри памятника возвышались пилястры на импостах. На них опирались пристенные и подпружные арки свода. Уцелела лишь пилястра северной стены. Сегодня часть конхи, свода и подпружных арок не существует.

## სოფ. თიღვა, ადგილი "წიფლითი"

## ძველი ნაგებობის ნანგრევი I

### გვიანი შუა საუკუნეები

სწორკუთხა ნაგებობის სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვა.

ძეგლის სახეობის დადგენა არ ხერხდება.




*გეგმა. План*

## с.Тигва, местность "Циплити"

## РАЗВАЛИНЫ СТАРОГО ЗДАНИЯ I

### Позднее средневековье

В качестве строительного материала прямоугольного здания был использован рваный камень. Стены лежат в руинах. Тип здания невозможно определить.



*საერთო ხედი. Общий вид*

## სოფ. თიღვა,
## ადგილი "წიფლითი"

# ძველი ნაგებობის ნანგრევი II

### გვიანი შუა საუკუნეები

სწორკუთხა ნაგებობის სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ყორექვა. კედლების სიმაღლე 1 მეტრს აღწევს.

ძეგლის სახეობის დადგენა არ ხერხდება.

## с.Тигва,
## местность "Циплити"

# РАЗВАЛИНЫ СТАРОГО ЗДАНИЯ II

### Позднее средневековье

В качестве строительного материала прямоугольного здания использован бут. Высота стен сохранилась на уровне 1 м. В качестве строительного материала был использован рваный камень.

Тип здания невозможно определить.

## სოფ. თიღვა

# ეკლესიის ნანგრევი

### შუა საუკუნეები

ძეგლი სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 4 კმ-ზე მდებარეობს. ეკლესიის კედლები შემორჩენილია 1 მეტრის სიმაღლეზე. საკურთხეველი სწორკუთხა ფორმისა იყო. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა. ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.



*საერთო ხედი. Общий вид*

**с.Тигва**

## РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

**Средневековье**

В четырёх км. к юго-западу, от села уцелели развалины церкви. Стены сохранились на уровне 1 м. С востока памятник имеет прямоугольный алтарь.

В качестве строительного материала был использован рваный камень.

**სოფ. თიღვა, სასაფლაოზე**

## წმ.მარიამის ეკლესია

**ადრე შუა საუკუნეები**

დარბაზული, შვერილაბსიდიანი ეკლესია ნაგებია დიდი ზომის ქვიშაქვის კვადრებით. წყობას ჰორიზონტალურ რიგებად მიუყვება მცირე ზომის კვადრები. ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ღრმა ნალისებრი აბსიდით, რომელიც დარბაზისაგან შვერილებით არის გამოყოფილი. სატრიუმფო თაღი



*დასავლეთი ფასადი. Западный фасад*

კრონშტეინებს ეყრდნობა. აბსიდის ცენტრალური ნაწილი გამონგრეულია. დარბაზის სამხრეთ კედელზე ერთი კრონშტეინია, რომელსაც კამარის საბრჯენი თაღი ეყრდნობოდა. კამარა ჩამოქცეულია. ჩრდილოეთით და სამხრეთით კედლების სიმაღლე 3-5 მეტრს აღწევს.

ეკლესია ნათდებოდა სამხრეთის ორი და დასავლეთის ერთი თაღოვანი სარკმლით.

თაღოვანი შესასვლელები სამივე კედელშია გაჭრილი, აქედან, ჩრდილოეთისა მინაშენს უკავშირდებოდა, ორი დანარჩენი კი გარშემოსავლელს. მინაშენის მხოლოდ ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლებია შემორჩენილი.

ნაგებობის გარშემოსავლელიდან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ეკლესიის ფასადებზე პერანგი ბევრგან შემოცლილია.




*გეგმა. План*

## с.Тигва

# ЦЕРКОВЬ СВ. МАРИИ

### Раннее средневековье

На окраине села стоит церковь. Вокруг церкви расположено кладбище.

Возведен памятник большими квадрами песчаника. В горизонтальных рядах кладки также использован тёсаный камень малых размеров.

Памятник сильно пострадал от времени. До нас дошли лишь части восточной, северной, южной и западной стен на высоте 3-5 м. Обход церкви лежит в развалинах.

Церковь зальная, с трёхсторонним обходом и выступающей абсидой с востока.

Внутри абсида подковообразная, на продольных стенах сохранились кронштейны подпружной и триумфальной арки. Освещена церковь двумя южными и одним западным окном. Проём восточного окна утерян, двери имеются во всех трех стенах.



*აღმოსავლეთი ფასადი. Восточный фасад*

## სოფ. თილგა

# თილგას ტაძარი

## 1152 წ.

ტაძარი ნაგებია კარგად თლილი, მოყვითალო ქვით. წყობა სწორხაზოვანია, ჩაწერილი ჯვრის გეგმის. ტაძრის ცენტრალურ ნაწილს გუმბათი აგვირგვირებს. აღმოსავლეთი მხარე აბსიდით მთავრდება, ხოლო სამი დანარჩენი სწორკუთხაა. გვერდითები მოკლე და თანაბარია, დასავლეთისა მათ ორჯერ აღემატება.

საკურთხეველი სამი ნაწილისგან შედგება. ცენტრში აბსიდია, საკმაოდ მოზრდილი ბემით, გვერდებზე კი, სადიაკვნე და სამკვეთლო. ორივე მცირე აბსიდებით მთავრდება და აღმოსავლეთიდან თითო სარკმლით ნათდება. სათავსებში ორ-ორი კარია. აქედან ერთი კარი ცენტრალურ დარბაზში გადის, ხოლო მეორე - უშუალოდ საკურთხეველში. აბსიდს ერთსაფეხურიანი ხარისხი შემოუყვება. მცირე ზომის თაღოვანი ნიში სარკმლის ქვეშაა მოთავსებული.

ცენტრალური ჯვრის მკლავებიდან მხოლოდ აღმოსავლეთისაა კონქით გადახურული, სამი დანარჩენი კი, ცილინდრული კამარებით მთავრდება.



*ჩრდილოეთი ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент северного фасада*

გუმბათი საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთით მდებარე ორ სვეტს ეყრდნობა. გუმბათის საყრდენი თაღების იმპოსტები მარტივ სწორკუთხა ფილებს წარმოადგენს. თვით გუმბათის ყელი ცილინდრული ფორმისაა და ნახევარსფერული გუმბათითაა გადახურული. ყელის კედლებში მაღალი და ვიწრო თორმეტი სარკმელია განლაგებული. ტაძრის დასავლეთ მონაკვეთს სტოა გააჩნია. მისი გვერდითი კედლები შენობის გრძივი კედლების გაგრძელებაა. ეს არის ნახევრად დახურული სათავსი, რომლის დასავლეთი კედელი სამი თაღითაა გახსნილი. შიდა სივრცეს კი ცენტრში მდებარე განიერი კარით უერთდება.

სტოა სიგანეზე, გარე თაღების შესაბამისად, სამ მონაკვეთადაა დაყოფილი. მონაკვეთები ერთმანეთისაგან გამბრჯენი თაღებითაა გამოყოფილი. თითოეულ მონაკვეთში კვადრატი იქმნება და ოდნავ დამჯდარი კამარებითაა გადახურული.

ინტერიერში დასავლეთით მოთავსებულია პატრონიკე. პატრონიკეს დათმობილი აქვს გვერდითი ნავებისა და სტოას ზედა ნაწილები. პატრონიკეს განიერი შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს. აღმოსავლეთით სამკვეთლოსა და სადიაკვნეს თავზე სამალავებია მოწყობილი. სამალავებში განათება გვერდებზე და აღმოსავლეთით მდებარე თითო წრიული სარკმლით ხდება. ოთახებში მოხვედრა იმ ვიწრო გვირაბებით შეიძლება, რომლებიც იწყება პატრონიკეს დონეზე და მიემართება გვერდით კედლებში.

ტაძრის გარე მასები ჩვენამდე თავდაპირველი სახით არაა მოღწეული. აღმოსავლეთი ფასადი სხვა ფასადების მსგავსად ორსაფეხურიან ცოკოლზეა აღმართული და ლავგარდანი აგვირგვინებს. ფასადზე ხუთი სარკმელია განლაგებული. ცენტრში საკურთხევლის დიდი სარკმელია. მის ქვედა დონეზე, გვერდით ნაწილებში, სადიაკვნესა და სამკვეთლოს მომცრო, ზემოთ კი ორივე მხარეს თითო წრიული სარკმელია. ცენტრალურ სარკმელს შეწყვილებული ლილვი შემოუყვება. გვერდით და წრიულ სარკმლებს მხოლოდ თითო წყვილი ლილვი აჩარჩოებს.

სამხრეთი ფასადის ცენტრში დიდი ზომის მაღალი და განიერი სარკმელია. იგი მდიდრულადაა მორთული. მის საპირეს შიგნით და გარეთ შეწყვილებული გრეხილი ლილვი აკრავს. ფასადის მარცხენა ნაწილში, ზემოთ განლაგებულია თანაბარი სიმაღლის სამი ვიწრო სარკმელი. ისინი პატრონიკეს ანათებენ.

დასავლეთ ფასადზე, რომელიც მხოლოდ პატრონიკეს სახურავის ზემოთ ჩანს, მოთავსებულია ჯვრის მკლავის დაბალი და განიერი სარკმელი. ჩრდილოეთი ფასადის ზემო ნაწილში სარკმლები და კარია

გაჭრილი. კარი შედის პატრონიკეში. მას გვერდებზე შემოუყვება ფართო ორნამენტირებული არშია, რომელიც ზედა წრეს შემოხაზავს. ყოველივე ეს ჩასმულია ორი ლილვით მიღებულ თაღში. კარის ზემოთ, თაღის ცენტრში მოთავსებულია ჯვრის გამოსახულება. ტიმპანის დანარჩენი არე დაფარული აქვს ასომთავრულ წარწერას.




გეგმა. План

ჩრდილოეთის პატრონიკეს შესასვლელის ტიმპანზე, ჯვრის ორივე მხარეს, მოთავსეულია ასომთავრული წარწერა: "ქმნილებამან რაი აქისა სოფლისამან სხვისა მიიღოს დაწყება ყოფადისა მოქმედებითა შენ ზედა ჯვარსცმულისა ქრისტ ღმრთისაითა, რომლის მიმართ ჟამსა მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარს".

ვახუშტის მიხედვით: "დასავლეთით მეტეხისა და ფცის-წყლისა არს თიღვას ჯვარის მონასტერი, რომელი აღაშენა ასულმან აღმაშენებლისამან თამარ, გუმბათიანი დიდმშვენიერი, კეთილად ნაშენი. შენობაში გარემოს მრავალნი, და აწ ხუცის სამარსა".

ვახუშტიზე გაცილებით ადრე, ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე გვატყობინებს, რომ თიღვას ამგებია "და დემეტრესი თამარ". როგორც ირკვევა, თამარი, დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, შირვანის დედოფალი, დაქვრივების შემდეგ ბრუნდება სამშობლოში და უკანასკნელი წლების გასატარებლად აგებს თიღვას მონასტერს.

თ.ჟორდანიას მიერ დამოწმებულია შემდეგი ქრონიკა:

"ქ-კნს: ტოზ.დასაბამითგან: ხლნვ (აქა თა) მარისაგან აღშენებ (ული ეკლესია) აკ-ხეს და (თამარჩ)ო ანი ჩაიცუნა".

ამ ცნობაში ორნაირად მოცემული თარიღი, ე.ი. ქორონიკონი (372-780) და დასაბამითგან (6756-5604) ერთსა და იმავე 1152 წელს იძლევა:

ამრიგად, ირკვევა, რომ ტაძარი აგებისთანავე (1152 წ.) უკურთხებიათ და იქვე მონაზვნად აღკვეცილა თამარი.

## с.Тигва

## ХРАМ

## 1152 г.

Сел. Тигва находится в ущелье р.Проне, в 3 км от районного центра Знаури. Храм с различными монастырскими помещениями окружен оградой. К северу от него был возведён дворец, в котором жила царица Тамар, и от которого лестница вела в храм на хоры, где царица стояла во время церковной службы.

В 1152 году дочь царя Давида Строителя, Тамар, после смерти мужа, ширванского принца, построила монастырь и приняла постриг. В стихотворной надписи над северной дверью памятника, выполненной буквами асомтаврули, упоминается её имя.

Тигва - крестого-купольное здание, в котором купол лежит на арках, опирающийся на приабсидные углы и на два свободно стоящих устоя. По бокам абсиды устроены жертвенник и ризница с собственными абсидами. С запада, на всю ширину здания, возведено узкое, открытое арками помещение - нартекс.

Перекрытие нартекса состояло из трех звездообразно разделанных сводов.



*ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. Вид с юго-запада*

Хоры обходят западную часть интерьера с трех сторон. Высокий купол прорезан двенадцатью окнами.

Фасады почти лишены декоративного убранства. Вся сила перенесена на архитектурные формы, чистоту кладки и гладкую поверхность стен из тёсаного камня желтовато-серого цвета.

## სოფ. თორმანეული
## ღვთისმშობლის ნაეკლესიარი

### შუა საუკუნეები

სოფელში ძველ სასაფლაოზე შემორჩენილია ნაეკლესიარი, რომლის მხოლოდ საძირკველი იკითხება.

ძეგლი გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს; აღმოსავლეთით აბ-



*ბუნის ქვა. Постамент для креста.*

სიდის მოხაზულობა ნახევარწრეს უახლოვდება. აბსიდის ცენტრში დგას ბუნის ქვა.

ეკლესიის ქვები გაზიდულია.




*ნაეკლესიარის გეგმა. План церкви*

## с.Торманеули

## РУИНЫ ЦЕРКВИ БОГОМАТЕРИ

### Средневековье

На древнем кладбище от развалин церкви почти ничего не осталось.Фундамент здания можно определить лишь частично. Прямоугольная в плане церковь с восточной стороны завершена абсидой. В центре абсиды стоит постамент каменного креста.

Облицовачный материал церкви растаскан.

## სოფ. თსაკყაპ

## წმ. გიორგის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია დგას სოფლის სასაფლაოზე; ნაგებია მოვარდისფრო, დიდი ზომის უხეშად დამუშავებული ქვით. გეგმით სწორკუთხა ნაგებობა, აღმოსავლეთით დასრულებულია ღრმა, ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ცენტრში გაჭრილია სარკმელი, ჩრდილოეთით სწორკუთხა ნიშია.

ეკლესიის კედლების სიმაღლე 2-3 მეტრს აღწევს. გრძივ კედლე-



*ჩრდილოეთი ფასადი. Северный фасад*

ბზე შემორჩენილია პილასტრის ქვედა ნაწილები. შესასვლელი სამხრეთიდანაა. დაზიანების გამო ფორმა არ იკითხება.

ეკლესია თითქმის პერანგშემოცლილია.

## с.Исаккау

# ЦЕРКОВЬ СВ. ГЕОРГИЯ

### Позднее Средневековье

В селе Исаккау на древнем кладбище стоит зальная церковь. Возведено здание из неровных больших камней розоватого цвета. Памятник сильно повреждён. Высота стен достигает 2-3 метров. Вход в церковь, вероятно, был с юга.




*ეკლესიის გეგმა. План церкви*

## სოფ. ლისა

# ეკლესია ცხრაკარა

### XIII ს.

შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილ სამყურა ფოთლებზე ასომთავრული წარწერაა:

წმინდაო ღვთისმშობელო მეოხ ექმენ სიაოშს, ალექსანდრეს ძესა.

წარწერა ტიმპანის ქვედა არეზე იკითხება: "ადიდნეს ღმერთმან ამის უდაბნოსა პატრონნი შნია(?)

ყოველნი (?) თინათინი, ფალდონი, და ძენი მათნი".

ეკლესია მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ-ზე,



*სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент южного фасада*

მდ. თეთრას ხეობაში. ცხრაკარას ეკლესიას ამჟამად მონასტერს უწოდებენ. მის ნანგრევებს იმდენად აქვთ მოდებული სურო და ეკალ-ბარდები, რომ სპეციალური გაწმენდის გარეშე ჭირს მისი გეგმის დადგენა და განსაკუთრებით თავდაპირველი სახის გარჩევა შემდგომი ფენებისაგან. დასაშვებია, რომ ოთხი მასიური სვეტი მასზე გადაყვანილი თაღებით გამოყოფდნენ შუა, ფართო და მაღალ ნავს გაცილებით ვიწრო და დაბალი გვერდითი ნავებისაგან. თაღები აშკარად გვიანდელია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავდაპირველად ძეგლი სამნავიანი ბაზილიკა იყო, შემდეგ გადაკეთდა გუმბათიან ეკლესიად, რომელმაც, თავის მხრივ, მრავალი შეკეთება განიცადა.

ინტერიერის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის კვალი. შესასვლელები ეკლესიას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ჰქონდა. სამხრეთის შესასვლელთან დევს ტიმპანის ქვა, რომელსაც ორმაგი ლილვი შემოუყვება. ტიმპანის ცენტრში წრეში ჩასმული ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ჯვრის მკლავებს შორის ამოკვეთილია როზეტები და სამყურა ფოთლები. ტიმპანის ორივე გვერდზე ნაძვების გამოსახულებაა, რომლებიც სამკუთხედებშია ჩასმული.

ეკლესიას სამი მხრიდან გარშემოსავლელი აქვს. მასში თაღოვანი შესასვლელი სამხრეთიდანაა.



*კარის ტიმპანი ასომთავრული წარწერით. Тимпан двери с надписью асомтаврули*

## с.Лиса

## ЦЕРКОВЬ ЦХРАКАРА
## XIII В.



*გეგმა. План*

Церковь стоит в ущелье реки Ожора. Церковь Цхракара теперь называют Монастери. Церковь сильно повреждена, остались лишь руины, заросшие растительностью.

Здание было обнесено обходом. Частично сохранились южная и северная стороны обхода, с широким арочным входом с юга.

У южного входа церкви лежит тимпан входа. Поверху камень обнесен широким валикам. Центральная часть тимпана заполнена изображением большого креста в круге. Между рукавами креста высечены розетки и трилистники, а по бокам - деревца. На двух трилистниках и нижнем гладком поле высечена надпись асомтаврули.

Надпись на трилистниках: "Святая Богородица ходатайствуй за Сиаоша, сына Александра". На нижнем поле: "Возвеличь Господь (всех) патронов сей обители. Помилуй Тинатин, Палдона и их сыновей".

## სოფ. ლისა

## ეკლესია-კოშკით ლისის ჯვარი

## X ს.

ძეგლი მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ზე, მდ.ოჟორას ხეობაში. ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის არქიტრავზე მოთავსებულია ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერა:

"ნებითა ღმრთისა თა მე, ფებრონია უთალოისა ასულმან აღვაშენე წმიდა ესე ეკლესია ვაკურთხე საფარველად ძმისა ჩემისა აბულეთი(სა). სმნო...თურქეთის ამარტუილნეს.



*გეგმა. План*

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვით. დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხაა. აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

გრძივი კედლები დანაწევრებულია პილასტრების საშუალებით. პილასტრებს ნახევარცლინდრული კამარის საბრჯენი თაღი ეყრდნობა. დასავლეთით ოდნავ შეისრული ფორმის თაღი კუთხის პილასტრს ებჯინება.

ეკლესია შიგნიდან შელესილი ყოფილა. ნალესობა მრავალ ადგილას ჩამოცვენილია. შიდა სივრცე ნათდება აღმოსავლეთი სარკმლით.

სამხრეთი შესასვლელი შიგნით თაღოვანი - გარედან არქიტრავულია. ეკლესიის ფასადები სადაა. აქცენტირებულია მხოლოდ არქი-



*ეკლესიის სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент южного фасада церкви*

ტრავის ქვა, რომელზეც წარწერაა ამოკვეთილი. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებს მრავალ ადგილას საპირე ქვა შემოცლილი აქვს.

დასავლეთ კედელს სწორკუთხა კოშკი ემიჯნება. იგი შემორჩენილია სამი სართულის დონეზე. კოშკში შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. კარი შიგნიდან თაღოვანი - გარეთ არქიტრავულია. მეორე სართულის ჩრდილოეთ კედელში ორი თაღოვანი ნიში და ერთი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმელთან მოწყობილია პირველ სართულში ჩასასვლელი ოთხკუთხა ხვრელი. აღმოსავლეთ კედელში ორი თაღოვანი, სამხრეთში ერთი თაღოვანი და ერთიც სწორკუთხა ნიშია.

შემორჩენილია მეორე და მესამე სართულშუა გადახურვის კოჭის ბუდეები. იატაკი ამოვსებულია მიწით. კოშკში ამოსულია მცენარეები. ძეგლი დაზიანებულია.

**с.Лиса**

## ЦЕРКОВЬ ЛИСИС ДЖВАРИ С БАШНЕЙ

**X в.**

На горе, в ущелье р.Ожора, возвышается башня и пристроенная к ней церковь. Оба здания возведены из неровного камня одной и той же сланцевой породы.



***კოშკის ფრაგმენტი, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.***
***Фрагмент башни, вид с юго-запада***

Церковь зальная с одним окном и дверью, с полукруглой абсидой. В абсиде по обеим сторонам от окна расположены ниши. Свод поддерживают две подпружные арки на пилястрах.

Фасады церкви просты. Единственным акцентом является архитравный камень двери. Архитрав обнесен аркой, и всё поле арки заполнено надписью. Надпись выполнена буквами мтаврули с применением нескольких букв нусха. В переводе надпись гласит: "Волею божью, я Феброния, дочь Уталона, построила эту церковь Богоматери. Освятила в покровительство брата моего Абулети,... (которого) подвергли мученичеству в Туркети".

Башня четырехугольная в плане, имеет несколько этажей. На первом этаже башни устроены ниши и альков. Стена башни одновременно является западной стеной церкви.

## სოფ. მალდა
## ნაეკლესიარი

ნაეკლესიარი სოფლიდან ჩრდილოეთით, 1 კმ-ზე ტყეში მდებარეობს.
ნაგებობიდან შემორჩენილია დასავლეთი კედლის საძირკვლის ფრაგმენტები. დანარჩენი კედლები არ იკითხება. აქა-იქ ყრია უხეშად თლილი ქვები.

გათხრა-გაწმენდის გარეშე დათარიღება შეუძლებელია.



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Малда

## РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

На расстоянии 1 км к северу от села в лесу можно проследить руины церкви. Кое-где лежат тёсаные камни. Без особой расчистки датировка помятника невозможна.

## სოფ. მეტეხი

## მაცხოვრის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები

მდ.ფრონეს მარჯვენა ნაპირზე მდებარე ეკლესია მოყვითალო ქვიშაქვის დიდი კვადრებითაა ნაგები. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ღრმა ნიშია. სფერული კონქი ამოყვანილია ქვის რადიალური რიგებით - სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. აბსიდის იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკთან შედარებით.

ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი იმპოსტებს ეყრდნობა. დარბაზი განათებულია სამხრეთის და დასავლეთის თაღოვანი




*ეკლესიის გეგმა. План церкви*

სარკმლებით. დასავლეთი სარკმლის ჭრილი ირიბია. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს - სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. ორივე კარი შიგნით თაღოვანი, გარედან არქიტრავულია. ჩრდილოეთი შესასვლელი გვიანდელ მინაშენს უკავშირდება. ამჟამად კარი ამოქოლილია. მინაშენი გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით იკითხება ნახევარწრიული აბსიდის ნაწილი. მინაშენის კედლების სიმაღლე 1 მეტრს აღწევს.

ეკლესიას მარტივპროფილიანი კარნიზი აქვს.

ეკლესიის კედლები დაზიანებულია, სარკმლები დაზიანებული, კარნიზი ბევრგან ჩამოცვენილია; აყრილია საბურავი.



*სამხრეთი ფასადი. Южный фасад*

## с.Метехи

# ЦЕРКОВЬ "МАЦХОВАРИ"

### Позднее средневековье

Церковь стоит на правом берегу реки Проне. Возведена она из больших квадр желтоватого песчаника.

Зальная церковь в плане прямоугольна, с востока имеет полукруглую абсиду с высоким окном в центре. Алтарная конха выведена радиальными рядами. Свод поддерживают подпружные арки на импостах. Освещено здание с трех сторон. Вход с юга и севера. Северная дверь вела в позднюю пристройку, которая сильно повреждена. Также повреждены стены, окна и карнизы церкви.

## სოფ. მეტეხი

# ნიში

### შუა საუკუნეები

სოფლის სასაფლაოზე, ძველი ეკლესიის ადგილას აშენებულია თლილი ქვით ნაგები მცირე ზომის სალოცავი ნიში, რომელიც ხის ფარდულშია მოთავსებული.



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Метехи

# НИША

### Средневековье

На месте древней церкви возведена маленькая молельня из тёсаных квадр.

## სოფ. მოღრისი

# წმ.გიორგის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან აღმოსავლეთით 3-4 კმ-ზე დგას წმ.გიორგის ეკლესია, რომელიც ნაგებია მოყვითალო ქვიშაქვის კვადრებით. წყობაში



*დასავლეთი ფასადი. Западный фасад*

ალაგ-ალაგ გამოყენებულია აგური და ყორექვა. ფასადებს აგურის ჰორიზონტალური წყობის სარტყელი მიუყვება.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელიც აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით ორი, ხოლო სამხრეთით ერთი თაღოვანი ნიშია. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით. საკურთხევლის წინ ერთსაფეხურიანი სოლეაა.




*ეკლესიის გეგმა. План церкви*

გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით ორ ტოლ მონაკვეთად იყოფა. კამარა ნახევარცილინდრულია. დასავლეთის, ოდნავ შეისრული თაღი კუთხის პილასტრებს ეყრდნობა. ინტერიერში შემორჩენილია ნალესობის კვალი.



***ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. Вид с юго-востока.***

ეკლესია განათებულია აღმოსავლეთით თაღოვანი, ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა სარკმლებით. იატაკი მოპირკეთებულია კვადრატული ფილებით. სამხრეთი შესასვლელი შიგნით თაღოვანი - გარედან არქიტრავულია. დასავლეთი და აღმოსავლეთი ფასადების ფრონტონის წყობაში ჩაძირული ჯვრებია გამოსახული.

საბურავად გამოყენებულია შიფერი.

## с.Могриси

# ЦЕРКОВЬ СВ. ГЕОРГИЯ

### Позднее средневековье

Памятник стоит в 3-4 км. к востоку от селения. Возведена церковь квадрами желтоватого песчаника. В кладке также использован кирпич и булыга.

Зальная церковь с восточной стороны завершена полукруглой абсидой с окном в центре и нишами по бокам. Продольные стены расчленены пилястрами на две равные части. Свод поддерживают подпружные арки на пилястрах.

Здание имеет три окна и дверь с юга.

Фронтоны западного и восточного фасадов акцентированы крестами, выведенными в кирпичной кладке.

## სოფ. მუგუთი

# ნაეკლესიარი

### შუა საუკუნეები

სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია ნაეკლესიარი ქვის გროვის სახით. აქა-იქ შეინიშნება დუღაბიც. ქვა რიყისაა. გეგმა არ იკითხება.



*საერთო ხედი. Общий вид.*

## с.Мугути
## РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### Средневековье

На кладбище сохранилось место древней церкви, которая была возведена булыгой. Без тщателной расчистки груды камней план невозможно определить.

## სოფ. ნაბაკევი, სასაფლაოზე

## ამაღლების ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები

დარბაზული ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია ყორექვით.

გეგმით ტრაპეციას უახლოვდება, აღმოსავლეთით დასრულებულია კოლოფა აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დევს. ჩრდილოეთით ორი, ხოლო სამხრეთით, ერთი სწორკუთხა ნიშია. კონქი ამოყვანილია აგურის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

ეკლესიის ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი მარტივპროფილიან კრონშტეინებს ეყრდნობა. დარბაზი განათებულია სამხრეთის და დასავლეთის სწორკუთხა სარკმლებით.




გეგმა. *План церкви.*

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა. ეკლესიაში მიწის დონე აწეულია.

ჩრდილოეთ ფასადს პერანგი შემოცლილი აქვს. სამხრეთი ფასადი დაზიანებულია.

ძეგლის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია შემორჩენილი.



*აღმოსავლეთი ფასადი. Восточный фасад*

## с.Набакеви

# ЦЕРКОВЬ АМАГЛЕБА

### Позднее средневековье

Зальная церковь возведена из рваного камня, местами кладка заполнена булыгой. Здание с восточной стороны завершено коробчатым алтарём с окном в центре. Алтарная конха выведена радиальными рядами кирпича. Свод поддерживают подпружные арки на кронштейнах.

Интерьер освещён тремя окнами. Архитравная дверь с юга.

Памятник частично повреждён. Вокруг церкви сохранились фрагменты стен ограды.



*სამხრეთი ფასადი. Южный фасад*

## სოფ. ნაბაკევი,
## სასაფლაოზე

# ნაეკლესიარი (ტრაპეზის ქვა)

ეკლესიიდან შემორჩენილია ტრაპეზის ქვა და ქვის გროვა. საძირკველი არ ჩანს. გათხრა-გაწმენდის გარეშე ძეგლის დათარიღება შეუძლებელია.



*ტრაპეზის ქვა. Престол*

## с.Набакеви, Развалины

## ЦЕРКВИ (ПРЕСТОЛ)

На останках церкви среди груды камней стоит монолитный престол. Без особой расчистки датировка и определение плана помятника не возможны.




*ნაკალევსიარის სქემატური გეგმა. Схематичный план*

## სოფ. ნედლათი

## ძვირაცხოვლის ეკლესია

### ადრე შუა საუკუნეები

ძველ სასაფლაოზე მდებარე დარბაზული ეკლესია ნაგებია დიდი ზომის მოყვითალო ქვიშაქვით. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ნალისებრი აბსიდით, რომლის ცენტრშიც სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშია. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დევს. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებზეა გადაყვანილი.




*გეგმა. План церкви*

კამარის საბრჯენი თაღი კრონშტეინებს ეყ-

რდნობოდა. სწორკუთხა სარკმლები სამხრეთის და დასავლეთის კედელშია გაჭრილი. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა.

კარის ტიმპანში ჯვარია ამოკვეთილი. დანარჩენი ფასადები სადაა. მიწის დონე აწეულია. ძეგლის გარშემო ყრია ჩამონაშალი ქვა.

ეკლესიის კამარა ჩამოქცეულია, კედლები დაბზარულია.

## с.Недлати

# ЦЕРКОВЬ КВИРАЦХОВЕЛИ

### Раннее средневековье

На древнем кладбище возвышается зальная церковь. Памятник возведён из больших, неровных квадр песчаника.



*სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент южного фасада*

Фасады просты, единственный декоративный акцент в виде креста высечен на тимпане двери.

Здание имеет три окна и дверь с юга.

Свод церкви рухнул, повреждены также и стены.

## სოფ. ნული

# ციხის კომპლექსი

### კოშკი XIII-XIV სს; ეკლესია XVII ს.; ფეოდალის სასახლე და სამეურნეო ნაგებობები XVII-XVIII სს.

ისტორიულ წყაროებში არავითარი ცნობა არაა ნულის კომპლექსის მშენებლობის შესახებ. მხოლოდ XVI-XVII სს. დოკუმენტებით ვგებულობთ, რომ ციხე ეკუთვნოდა დავითიშვილების გვარს. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტში 1658-1876 წ.წ. ნათქვამია, რომ: "ელიზბარ და კონსტანტინე დავითიშვილები იყოფენ მამულს და სასახლეს, ხოლო კოშკს და ეკლესიას საერთო განმგებლობაში ტოვებენ".

ციხე დგას 30 მ სიმაღლის ბორცვზე, მდ.ფრონეს ხეობის მარცხენა ნაპირზე. ნაგებია რიყის და ფლეთილი ქვით. ციხის კედლებისა და საცხოვრებელი ნაგებობათაგან ფრაგმენტებია შემორჩენილი.



*ციხე. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. Замок. Вид с северо-запада*

ციხე მრავალფენიანია. თავდაპირველად აუშენებიათ მცირე ზომის, გეგმით ოთხკუთხა სიმაგრე, შემდეგ მის დასავლეთ ნაწილში დიდი ოთხკუთხა კოშკი. ამ ნაგებობათა აღმოსავლეთით მდებარე ეკლესია მათი თანადროულია. მოგვიანებით პირველი სიმაგრე და ეკლესია შემოზღუდულია ახალი ციხის კედლებით. შემდგომში გალავნის შიგნით შენდება სასახლე, ხოლო მის გარეთ, აღმოსავლეთით, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. ასევე, აშენდა დიდი ზომის, ორსართულიანი შენობა.

თავდაპირველი ციხე გეგმით ოთხკუთხაა, მისი ზომებია: 16,5X12,2 მ. ვიწრო შესასვლელი მდებარეობს ჩრდილოეთ კედელში. ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობზე ციხეს წყვილი, ნახევარწრიული კონტრფორსები აქვს. ციხის კედლებიდან შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ნაწილი. ამდენად, მისი სიმაღლის დადგენა შეუძლებელია.

სწორკუთხა კოშკი ნაწილობრივ დაშენებულია ციხის დასავლეთ კედელზე. მისგან შემორჩენილია სამი კედლის კვალი, ხოლო მეოთხეს სიმაღლე, დაახლოებით 10 მეტრს აღწევს. ამ კედელში სათოფურები არ ჩანს. პირველი სართულის კედელი ყრუა; მეორეზე კვადრატული ნიშია მოთავსებული, ხოლო მესამე სართულზე გაჭრილია კარი. იგი გადიოდა ხის აივანზე. შემორჩენილია აივნის კოჭის ბუდეები. მოგვიანებით კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მიაშენეს კონუსის ფორმის კონტრფორსი.

ციხის აღმოსავლეთით მდებარე წმ. მარინეს ეკლესია გეგმით (6,50X5,0მ), სწორკუთხაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. აბსიდში ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშია. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით. კონქი ოდნავ შებრტყელებულია.

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. ვიწრო, არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა. არქიტრავის ქვაზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ჯვარი მოთავსებულია ნახევარწრეში. ჯვრის დასავლეთი მკლავის ორივე მხარეს ნახევარსფეროებია გამოსახული.

ციხესა და ეკლესიას შორის მდებარე სასახლე ხელოვნურ სუბსტრუქციაზეა დაშენებული. სასახლე ნაგებია აგურით კირის ხსნარზე; გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. ნანგრევებიდან ჩანს, რომ სასახლე შედგება დიდი დარბაზისა და საცხოვრებელი ოთახებისაგან. დარბაზი გეგმით სწორკუთხაა. კედლების ზედა ნაწილში შემორჩენილია კამაროვანი გადახურვის კვალი. დარბაზის კედლები დანაწევრებულია თაღებით. ჩრდილოეთ კედელზე ხუთი თაღია განლაგებული. შუა თაღი თითქმის ორჯერ განიერია გვერ-

დითებზე. გვერდითა ორი თაღი გამჭოლია. შუა თაღში მოწყობილია ნახევარწრიული, ფართო ბუხარი. დასავლეთი კედელი ასევე დანაწევრებულია სამი თაღით.

სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მცირე დარბაზი რვაწახნაგაა. ნაგებობას ოთხივე მხრიდან მაღალი, თაღოვანი კარ-სარკმლის ღიობები აქვს. დარბაზის წახნაგების კუთხეები სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი. სამხრეთ-აღმოსავლეთ წახნაგში მოწყობილია ფართო ბუხარი. დანარჩენი სამი წახნაგი ორიარუსიანია. ქვედა იარუსში მოთავსებულია ღრმა, ოთხკუთხა ნიშები, ხოლო ზედა, შუა ნაწილში, უფრო მცირე ნიშებია. სასახლის ყველა თაღი შეისრულია.

ციხის გალავნის გარეთა ნაგებობებიდან ყველაზე უკეთ შემორჩა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა. შესასვლელი პირველი სართულის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. ჩრდილოეთი კედელი ყრუა. გრძივ კედლებში ნიშები სიმეტრიულადაა განლაგებული. დასავლეთ კედელში თორმეტი ნიშია, აღმოსავლეთით თერთმეტი, მაგრამ, იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში მოთავსებულია ბუხარი. სართულშუა გადახურვიდან მხოლოდ კოჭის ბუდეებია შემორჩენილი, მეორე სართულიდან კი უმნიშვნელო ფრაგმენტი.

ნაგებობის საშენ მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა და აგური.



*სასახლე. ინტერიერის ფრაგმენტი. Дворец, фрагмент интерьера*



*ციხის გეგმა. План крепости*

## с. Нули

## ЗАМОК

**Башня XIII-XIV вв. Церковь св. Марине XVII в., дворец и остальные сооружения XVII-XVIII вв.**

В исторических источниках нет никаких сведений о строительстве данного громадного комплекса. Из нескольких документов XVI в. узнаём, что замок принадлежал роду Давиташвили. В одном из документов говорится, что Элизбар и Константин Давиташвили делят пополам имение и дворец Нули, при общем пользовании башней и церковью.

Из более ранних документов особенно интересны два. В них говорится, что царь Симон 1 в 1656 г. отнимает у Шиоша Херхеулидзе замок Нули и возвращает его Давиду Давиташвили, некогда наказанного, и сейчас прощенного.

Замок Нули находится в ущелье р.Проне на холме. Развалины комплекса многослойные. От стен крепости и жилых зданый остались незначительные фрагменты.

Вероятно, первоначально на самом высоком месте холма стояла небольшая четырехугольная крепость. Затем в западной части крепости была воздвигнута большая четырехугольная башня.Церковь, находящаяся к востоку от крепости, возможно, выстроена одновременно с башней. Вслед за этим, первая крепость и церковь ограждаются новой крепостной стеной. Позже пришлось строить дворец внутри крепости.

Приблизительно в то же время к крепости с востока пристраиваются новые жилые и подсобные помещения со своей оградой. К востоку от этих построек строится большое двухэтажное здание.

Первоначальная крепость в плане четырехугольная (16x12,2м). Узкий вход находился в северной стене. По склону горы, с северной и южной сторон стены имеют по два полукруглых контрфорса. От стен крепости остались нижние части и нельзя установить высоту и форму их завершения.

Прямоугольная башня частично надстроена на западной стене крепости. От нее остались следы трёх стен, а четвёртая стена уцелела на высоте десяти метров. В этой стене не видно амбразур. Стена первого этажа глухая, на втором этаже имеется квадратная ниша, на третьем этаже - дверной проём, выходящий на деревянной балкон. Позже к юго-восточному углу башни пристроен конусообразной контрфорс.

Церковь св. Марины расположена к востоку от крепости. Ее наружные размеры 6,50x5.0 м. Вход помещен в левом краю южной стены. Прямоугольная в плане церковь с востока завершена абсидой с окном в центре. Под окном стоит престол. Архитравный вход в церковь имеется с юга. На архитравном камне изображен крест. Крест помещен в полукруге, рядом с крестом изображены две полусферы.

Внутри крепости на искусственной субструкции построен дворец. Дворцовое сооружение небольших размеров - это первоклассный архитектурный памятник позднего средневековья.



*ეკლესიის სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი. Церковь, Фрагмент южного фасада*

План здания заключен в прямоугольник. По развалинам можно установить, что дворец состоял из большого зала, жилой комнаты и двух балконов.

Стены здания выстроены из кирпича, кладка ровная, чёткая. Стены расчленены арками стрельчатой формы.

Двухэтажное здание Нульского ансамбля сильно пострадало от времени. По плану оно прямоугольное. Вход устроен в южной стене первого этажа. Северная стена глухая. Боковые стены симметрично расчленены нишами. В западной стене помещено двенадцать ниш, а восточной - одиннадцать. Разница в количестве вызвана тем, что в восточной стене устроен камин. Ниши больших размеров, перекрыты стрельчатыми арками. От междуэтажного перекрытия остались гнезда от балок.

От стен второго этажа уцелели незначительные фрагменты. Строительный материал - булыжник с применением кирпича.

## სოფ. ნული

## ეკლესიის ნანგრევი

### VIII-IX სს.

დარბაზული ეკლესია ნაგებია უხეშად თლილი, დიდი ზომის ქვით.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში ვიწრო-თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დევს. სამხრეთით ერთი სწორკუთხა ნიშია. სფერულ კონქზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების საშუალებით. გრძივი კედლები დაყოფილია ერთი წყვილი პილასტრით, თითქმის




გეგმა. *План*

ტოლ მონაკვეთად. პილასტრი შესასვლელს ებჯინება. კარს მარცხენა მხარეს ნაოთხალი აქვს.

კედლების სიმაღლე 2-3 მეტრს აღწევს. კამარა და კონქის ნაწილი ჩამოქცეულია. გრძივი კედლებისა და დასავლეთი კედლის სარკმლები არ იკითხება. ინტერიერში და ძეგლის გარშემო ყრია ჩამონაშალი ქვა.

აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილია მარტივპროფილიანი კარნიზის ნაწილი. ძეგლს მრავალჯერ შეკეთების კვალი ემჩნევა.



*აღმოსავლეთი ფასადი. Восточный фасад*



*ინტერიერი. საკურთხევლის ფრაგმენტი. Интерьер, фрагмент алтаря*

## с.Нули

## РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### VIII-IX вв.

Зальная церковь  с востока имеет прямоугольный алтарь, с окном посередине. Под окном стоит престол. Переход от прямоугольного основания к полукругу конхи осуществляется тромпами. Памятник сильно повреждён. Высота стен сохранилась до 2-3 м.

## სოფ. ოჟორა

## კოშკის ნანგრევები

კოშკიდან შემორჩენილია დასავლეთი კედლის მცირე ნაწილი. სამშენებლო ქვა ფლეთილია. კოშკის დანარჩენი კედლები მიწამდეა გასწორებული. ძეგლის დათარიღება შეუძლებელია ტერიტორიის გაწმენდა-გასუფთავების გარეშე.



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Ожора

## РАЗВАЛИНЫ БАШНИ

От башни уцелела лишь малая часть западной стены. Строительный материал - рваный камень. Датировка памятника не представляется возможной без особой расчистки.

## სოფ. ოჟორა

## ძველი ნაგებობის ნაშთი

### შუა საუკუნეები

ნაგებობიდან შემორჩენილია აღმოსავლეთი კედელი, რომლის სიმაღლე 80 სმ-ს აღწევს. ჩრდილოეთით და სამხრეთით კედლის ფრაგმენტები 50 სმ სიმაღლისაა. ტერიტორიაზე მიმობნეულია

დიდი ზომის ქვები. ძეგლის დათარიღება ტერიტორიის გაწმენდის გარეშე შეუძლებელია.


საერთო ხედი. Общий вид

## с.Ожора

## РАЗВАЛИНЫ СТАРОГО СООРУЖЕНИЯ

**Средневековье**

От здания уцелела восточная стена высотой до 80 см. Северная и южная стены фрагментарно сохранились на уровне 50 см. Датировка памятника не представляется возможной без особой расчистки.

## სოფ. სუნისი
## წმ. გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლის სასაფლაოზე მდგარი დარბაზული ეკლესია მოყვითალო ქვიშაქვითაა ნაგები. წყობაში გამოყენებულია დიდი ზომის უხეშად თლილი კვადრები და მცირე ზომის ქვები.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლ-



გეგმა. План



*დასავლეთი ფასადი. Западный фасад*

ის მხოლოდ სამხრეთი ფრაგმენტია შემორჩენილი. ამავე კედელშია მოთავსებული სწორკუთხა ნიში. აბსიდს აქვს ორსაფეხურიანი მხრები.

დარბაზის ჩრდილოეთ კედელზე პილასტრია. კამარა და კონქი ჩამონგრეულია. კედლების სიმაღლე 2-5 მეტრს აღწევს. დასავლეთით სწორკუთხა სარკმელია. ფასადები სადაა.

ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა.



*აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент восточного фасада*

## с.Суниси

# ЦЕРКОВЬ СВ. ГЕОРГИЯ

### Позднее средневековье

Зальная церковь возведена  желтоватымы грубо колотыми квадрами песчаника.

Памятник сильно повреждён. Высота стен сохранилась на уровне 2-3 м. Обвален свод и конха. Уцелело западное окно и частично проем южного входа.

## სოფ. სხლითი

# ეკლესია

### VIII-IX სს

სოფლის სამხრეთით სასაფლაოზე მდებარე დარბაზული ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად თლილი ქვით; ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით. ეკლესია გეგმით სწორკუთხაა.



*აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент восточного фасада*

აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. ჩრდილოეთით ერთი ნიშია. აბსიდის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების თაღები კრონშტეინებს ეყრდნობა. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია ორსაფეხურიანი პილასტრებით.

გრძივი კედლები ორსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით ორ ნაწილად იყოფა. პილასტრების გვერდითა საფეხურებს კედლის თაღები ეყრდნობა; დასავლეთით თაღები კრონშტეინებს ებჯინება.

სამხრეთ კედელში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. ამავე კედელშია არქიტრავული შესასვლელი, რომლის შუა, ჩაკვეთილი არე დაბალი თაღითაა აქცენტირებული. ინტერიერი შელესილ-შეთეთრებულია. იატაკი მიწაყრილია. ეკლესიის ფასადები სადაა. ადგილობრივ მოსახლეობას ეკლესია შიფერით გადაუხურავს.

ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია. ფასადებზე საპირე ქვები ბევრგან შემოცლილია.



*დასავლეთი ფასადი. Западный фасад*

## с. Схлити

## ЦЕРКОВЬ VIII-IX ВВ.

К югу от села стоит зальная церковь, вокруг церкви старое кладбище.

Возведена церковь из тесаного камня разной величины. Памятник в плане прямоугольный. С востока завершен прямоугольным алтарем, в алтаре к северу от окна одна ниша.



*გეგმა. План*

В стенах прорезаны два окна и дверь с юга. Стены в интерьере памятника были оштукатурены и побелены.

Свод и конха церкви рухнули. На фасадах ободрана большая часть облицовочного материала.

## სოფ. ზათქინეთი

## ელიას ეკლესია

## XIV-XV სს

დარბაზული ეკლესია პერანგშემოცლილია, შემავსებელ მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა. დუღაბზე შეინიშნება რიგების სწორხაზოვნება.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია კოლოფა აბსიდით, რომლის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.



*გეგმა. План*



ხედი დასავლეთიდან. *Вид с запада*



ხედი სამხრეთიდან. *Вид с юга*

სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დევს. აბსიდის სამხრეთი ფრაგმენტის სიმაღლე 50 სმ-ს აღწევს. ჩრდილოეთით შემორჩენილია სატრიუმფო თაღის ქვედა ნაწილი, რომელიც პილასტრს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ ქვის კანკელია. გრძივი კედლები დაყოფილია პილასტრების საშუალებით. დასავლეთი შესასვლელი თაღოვანია. შესასვლელის თავზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

კედლების სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებია.

ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები დაბზარულია. იატაკი ამოვსებულია მიწით. ინტერიერში და ძეგლის გარშემო ყრია ჩამონაშალი ქვა.

## с.Паткинети

## ЦЕРКОВЬ ЭЛИА

### XIV-XV вв.

Зальная церковь совершенно ободрана, облицовочный материал сохранился лишь на некоторых участках фасада.

В плане прямоугольная церковь с востока завершена коробчатым алтарём и каменным арочным иконостасом.

Вход в церковь с западной стороны.



*ინტერიერი, კანკელის ფრაგმენტი. Интерьер, фрагмент иконостаса*

## სოფ. ფატქინეთი

## ეკლესიის ნანგრევი

### შუა საუკუნეები

სოფლის სასაფლაოზე მდებარე ეკლესიიდან შემორჩენილია დასავლეთი კედლის წყობა (სიმაღლე 80 სმ აღწევს) და ჩრდილოეთი კედლის საძირკვლის მცირე ნაწილი. სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეშად თლილი ქვა.



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Паткинети

## ЦЕРКОВЬ ГВТИСМШОБЕЛИ

### Средневековье

На старом кладбище сохранились развалины зальной церкви. В качестве строительного материала были использованы грубо тёсаные квадры песчаника и мелкий камень.

Церковь сильно повреждена. Высота достигает не более 2-3 м.

## სოფ. ქალეთი

## ღვთისმშობლის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები

სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნანგრევი, ნაგები სხვადასხვა ზომის უხეშად თლილი ქვიშაქვის კვადრებით. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია წვრილი ქვაც.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ჩრდილოეთით სწორკუთხა ნიშია. აბსიდის და კედლების სიმაღლე დაახლოებით 2-3 მეტრს აღწევს. ძლიერი დაზიანების გამო სარკმლები არ იკითხება.




*გეგმა. План*



*საერთო ხედი. Общий вид*



*ინტერიერის ფრაგმენტი. Фрагмент интерьера*

სამხრეთი შესასვლელის მხოლოდ მარცხენა წირთხლია შემორჩენილი.

ინტერიერში და ძეგლის გარშემო ყრია დიდი ზომის ნამონაშალი ქვები.

с.Калети

## ЦЕРКОВЬ ГВТИСМШОБЕЛИ

### Позднее средневековье

На старом кладбище стоят развалины зальной церкви.

Строительным материалом является грубо тёсаный камень. В кладке кое-где использован и мелкий камень.

Прямоугольная в плане церковь с восточной стороны завершена полукруглой абсидой.

Памятник значительно поврежден временем, провалились свод и конха. Стены сохранены на высоте 2-3 м.

## სოფ. ღვერთეთი

# ნაეკლესიარი

### გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით ტყეში შემორჩენილია რიყის ქვის გროვა. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით აქ ყოფილა ეკლესია.



*საერთო ხედი. Общий вид*

## с.Гвертети

# РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### Позднее средневековье

К северо-западу от села сохранилась груда камней. Местные жители, ссылаясь на предания, утверждают, что на этом месте стояла древняя церковь.

## სოფ. ღვერთეთი

# წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით. ეკლესიიდან შემორჩენილია აბსიდის ჩრდილოეთი ნაწილი სწორკუთხა ნიშით და ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტებით.



*ინტერიერი, საკურთხევლის ფრაგმენტი. Интерьер, Фрагмент алтаря*

ნაგებობის გარშემო მიწის დონე აწეულია. ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.

## с.Гвертети

## ЦЕРКОВЬ СВ. ГЕОРГИЯ

### Позднее средневековье

Возведена церковь из булыги и колотого камня. От здания уцелел лишь северо-восточный фрагмент стены и часть абсиды с нишей.




*გეგმა. План*

# სოფ. ღვერთეთი

# სამების ეკლესია

## განვითარებული შუა საუკუნეები

სოფლის ჩრდილოეთით 1-კმ, მთაზე დგას დარბაზული ეკლესია სამხრეთი მინაშენით, რომელიც ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა



*დასავლეთი ფასადი. Западный фасад*

დევს. აბსიდში ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშია. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ შემორჩენილია ქვის კანკელი, აქვეა ბუნის ქვაც.

გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით ორ ნაწილად იყოფა. პილასტრების კაპიტელებს ეყრდნობა ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი. ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ კედელს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს.

დარბაზი განათებულია სამხრეთით სწორკუთხა, ხოლო დასავლეთით თაღოვანი სარკმლებით.

სამხრეთი შესასვლელი გარეთ არქიტრავულია, შიგნიდან - თაღოვანი. კარი ნაოთხალია. ეკლესიის სამხრეთი მინაშენი გეგმით სწორკუთხაა. სამხრეთ კედელში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი და შესასვლელი.

ეკლესიის ფასადები სადაა.

ეკლესიის სამშენებლო მასალა განსხვავდება მინაშენის მასალისაგან. ნაგებობის ფასადებს ეტყობა შეკეთების კვალი. მინაშენი თითქმის თავიდანა არის აგებული. ამავე მასალითაა შეკეთებული ეკლესიის დაზიანებული ნაწილები.



*ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. Вид с юго-востока*

## с.Гвертети

# ЦЕРКОВЬ САМЕБА

### Развитое средневековье

К северу от села на склоне горы стоит церковь Самеба, возведённая из рваного камня.




*გეგმა. План*

Памятник представляет собой зальную церковь с южной пристройкой. Главный зал имеет три окна и одну дверь. В полукруглой абсиде две ниши и престол. Свод поддерживают две подпружные арки на пилястрах.

Южная пристройка почти заново возведена. Строительный материал пристройки был частично использован для восстановления поврежденных стен церкви.

## სოფ. ყორნისი

# გამოქვაბულები

სოფ. ყორნისის ციხის სამხრეთით, 500 მეტრში შემორჩენილია კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულები, რომელიც შედგება ორი სათავსისაგან; წინა სათავსის კედელი ჩამონგრეულ-ჩამორეცხილია. ოთახები ერთმანეთს ვიწრო გასასვლელებით უკავშირდება. გამოქვაბულის კედლებს ეტყობა კარგად დამუშავების კვალი. მათი დანიშნულება გაურკვეველია.

## с.Корниси

# ПЕЩЕРЫ

К западу от крепости Корниси, на расстоянии 500 метров, в скале высечена пещера. Пещера состоит из двух смежных помещений, которые сообщаются узким пролетом.



*საერთო ხედი. Общий вид*

# სოფ. ყორნისი

## ეკლესია

### VIII-IX სს

სოფლიდან ჩრდილოეთით 2 კმ-ზე მდებარე დარბაზული ეკლესია ("არმინდა") ნაგებია სხვადასხვა ზომის მოყვითალო, ფლეთილი ქვით.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით,




*გეგმა. План*



*სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент южного фасада*

რომლის ცენტრში მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმელს ნაოთხალი აქვს. სფერულ კონქზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების საშუალებით. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია განიერი მხრებით.

გრძივი კედლები შემორჩენილია 1-2 მეტრის სიმაღლეზე, აღმოსავლეთის და დასავლეთისა კი 3-4 მეტრზე. სარკმლების კვალი არ შეინიშნება.

სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია.

ეკლესიის კამარა ჩამოქცეულია. აღმოსავლეთ ფასადზე შემოცლილია საპირე ქვები.

## с.Корниси

## ЦЕРКОВЬ VIII-IX ВВ.

В двух км. к северу от села стоит зальная церковь ("Арминда"). Возведена из желтоватого грубо околотого камня.

Зальная церковь имеет в плане прямоугольную алтарную часть. Переход от прямоугольного основания к полукругу конхи осуществляется тромпами. В центре алтаря одно высокое арочное окно. Прямоугольный



*ჩრდილოეთი ფასადი. Северный фасад*

алтарь выделен резко выступающими за плечиками.

Памятник пострадал от времени. Отсутствует свод, продольные стены сохранились на высоте 1-2 м, западная и восточная стены на высоте 3-4 м.

## სოფ. ყორნისი

## ეკლესია წმ. მარინე

### გვიანი შუა საუკუნეები

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. აბსიდის ნრდილოეთ-




*გეგმა. План*



*ინტერიერი. საკურთხევლის ფრაგმენტი. Интерьер, фрагмент алтаря*

ით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშია. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. ჩრდილოეთ კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელი და ნიშია. თაღოვანი შესასვლელი დასავლეთიდანაა.

ეკლესია დაზიანებულია, კედლები დეფორმირებული.

სამხრეთი კედელი თითქმის დანგრეულია, აღმოსავლეთი კი გარღვეული; კამარა ჩამოქცეულია.

### с.Корниси

## ЦЕРКОВЬ СВ. МАРИНЕ

**Позднее средневековье**

Зальная церковь почти разрушена. Обвалились свод и подпружные арки. Оставшиеся стены деформированы. Прямоугольная церковь имеет полукруглую абсиду с окном в центре. По обеим сторонам окна расположены ниши. В северной стене прорезано окно.

Вход в церковь с западной стороны.



*ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. Вид с юго-востока*

## სოფ. ყორნისი

# ეკლესია გვერდა

### განვითარებული შუა საუკუნეები

ეკლესია ნაგებია დიდი ზომის, კარგად თლილი ქვიშაქვის კვადრებით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სამხრეთით სწორკუთხა ნიშია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობოდა. საკურთხევლის წინ ქვის კანკელის ფრაგმენტებია შემორჩენილი.



*დასავლეთი ფასადი. Западный фасад*

კრძივი კედლები წყვილი პილასტრის საშუალებით სამ, თითქმის თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრების კაპიტელებს კამარის საბრჯენი თაღი ებჯინებოდა.

დარბაზი ნათდება დასავლეთის და სამხრეთის თაღოვანი სარკმლებით. ამავე კედელშია გაჭრილი შესასვლელები.




*გეგმა. План*

ეკლესიას დასავლეთით და სამხრეთით მინაშენები გააჩნია. დასავლეთ მინაშენსა და ეკლესიის ჩრდილოეთ კედელს შორის ნაკერი ჩანს. ჩრდილოეთი ფასადის აღმოსავლეთ მონაკვეთში ნიშია მოწყობილი.

სამხრეთი მინაშენი განიერია და უფრო მოკლე. სამშენებლო ქვა ფლეთილია. მინაშენში შესასვლელი სამხრეთიდანაა იქვე ბუნის ქვა დევს.

ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები დაზიანებულია. მინაშენები ჩამონგრეულია.



*დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი. Фрагмент западного фасада*

## с. Корниси

# ЦЕРКОВЬ "ГВЕРДА"

### Развитое средневековье

Церковь возведена большими тесаными квадрами песчаника. Прямоугольная в плане церковь с востока завершена полукруглой абсидой, с окном в центре.

Южнее окна расположена одна ниша. Перед алтарем уцелело несколько фрагментов алтарной преграды.

Продольные стены в интерьере расчленены пилястрами.

Церковь с юга и запада имеет окна и двери. У этих же стен есть пристройки. Южная, более короткая, имеет вход с юга, западная же повторяет длину стены церкви.

Сама церковь повреждена, провалился свод, рухнула конха. Приделы обвалились.

## სოფ. ყორნისი

# ეკლესია კარასეთი

### გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან აღმოსავლეთით 1 კმ. აღმართულია ეკლესია დიდი ზომის ფლეთილი ქვით. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხაა. აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აბსიდში ჩრდილოეთით და სამხრეთით დიდი ზომის ნიშებია მოთავსებული, რომლებიც იწყება იატაკის დონიდან.

აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით. ეკლესიის კედლების სიმაღლე 3-4 მეტრს აღწევს. სამხრეთ კედელში სარკმლის კვალი შეინიშნება.

არქიტრავული შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. ეკლესიის ინტერიერი ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით. ეკლესიაში ორნამენტებით შემკული ხის კარი დევს.

ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია. შემორჩენილი კედ-



*კარის ფრაგმენტი. Фрагмент двери*

ლები დაბზარულია. მიწის დონე აწეულია. ეკლესიას შემოვლებული აქვს გალავანი.

სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან გალავანს სწორკუთხა შესასვლელები აქვს. გალავნის კედლებში გაჭრილია სათოფურები და ნიშები.



*ინტერიერის ფრაგმენტი. Фрагмент интерьера*

### с.Корниси

## ЦЕРКОВЬ КАРАСЕТИ

### Позднее средневековье

На растоянии 1 км. к востоку от села Корниси стоит зальная церковь. Строительный материал - рваный камень, кладка в некоторых рядах заполнена мелким камнем.

Церковь с востока завершена полукруглой абсидой, в центре которой устроено арочное окно. По обеим сторонам окна расположены высокие ниши. Архитравный вход прорезан в западной стене.

Памятник сильно повреждён от времени. Провалились конха и свод. Оставшиеся стены сохранены на высоте 3-4 м., они сильно деформированы.

В интерерье церкви лежит деревянная дверная створка с орнаментированным фоном.

Церковь имела ограду. В стенах ограды прорезаны амбразуры.

### სოფ. ქორნისი

## ეკლესია წმ.გიორგი

### XIX ს-ის ბოლო

ეკლესიის შესასვლელის თავზე ჩასმულ ქვის ფილაზე მხედრული წარწერაა: "ესე ეკლესია აღაშენა რუსის იმპერატორმა".

შვერილაბსიდიანი, დარბაზული ეკლესია ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით. კუთხეებში გამოყენებულია კარგად თლილი კვადრები.

ნაგებობა გეგმით




გეგმა. План

სწორკუთხედს წარმოადგენს, უწესო ფორმის ნახევარწრიული აბსიდით. ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით თაღოვანი ნიშია. კონქი ამოყვანილია აგურის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობოდა. საკურთხევლის წინ შემორჩენილია სოლეა.

გრძივი კედლები წყვილი პილასტრის საშუალებით ორ ტოლ ნაწილად იყოფა. პილასტრებს კამარის საბრჯენი თაღი ეყრდნობოდა. ფართო თაღოვანი სარკმლები კედლებზე სიმეტრიულადაა განლაგებული. თაღოვანი შესასვლელი დასავლეთიდანაა. ეკლესიის კედლები შიგნიდან შელესილ-შეთეთრებული იყო.

ეკლესიის დასავლეთი ფასადის ფრონტონი აქცენტირებულია აგურის წყობაში ჩაძირული ჯვრით. ამავე ფასადზე შემორჩენილია თარო ლავგარდნის მცირე ფრაგმენტი.

ეკლესიის კამარა და კონქის დიდი ნაწილი ჩამოქცეულია. აღმოსავლეთი კედელი გარღვეულია. ინტერიერში ამოსულია მცენარეები.

ეკლესიის გარშემო ყრია ჩამონაშალი ქვა.



*დასავლეთი ფასადი. Западный фасад*

## с.Корниси

# ЦЕРКОВЬ СВ. ГЕОРГИЯ

**XIX в.**

Надпись над западной дверью выполненная буквами мхедрули гласит: "Сию церковь построил русский император".

Зальная постройка, с выступающей в плане абсидой, возведена булыгой и рваным камнем, углы выведены тёсаным камнем.

Прямоугольная церковь с восточной стороны завершена неровным полукругом абсиды. Алтарная конха выложена радиальными рядами.

Освещена церковь шестью широкими арочными окнами. Арочный вход прорезан в западной стене. Внутри церкви стены были оштукатурены.

Памятник поврежден: свод и частично конха обвалились.



*ხედი სამხრეთიდან. Вид с юга*

## სოფ. ყორნისი

# ეკლესიის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები

სასაფლაოზე მდებარე ეკლესიიდან შემორჩენილია ჩრდილოეთი კედლის მცირე ნაწილი, რომლის სიმაღლე 50-60 სმ-ს აღწევს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეშად თლილი ქვა. შეინიშნება აღმოსავლეთი კედლის საძირკველი. აქვე დგას ტრაპეზის ქვა. დანარჩენი კედლები მიწის პირამდეა გასწორებული.



*ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი. Фрагмент северной стены*

## с.Корниси

## РАЗВАЛИНЫ ЦЕРКВИ

### Позднее средневековье

От зальной церкви уцелела лишь часть северной стены высотой 50-60 см. У сохранившегося фундамента восточной стены стоит престол. В качестве строительного материала был использован грубо тёсаный камень.

## სოფ. ყორნისი

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები (XVII-XVIII სს.)

სამსართულიანი კოშკი ნაგებია ფლეთილი, რიყის და ალაგ-ალაგ თლილი ქვით. კედლები საკმაოდ განიერია.



*მეორე სართულის გეგმა. План второго этажа*

კოშკი გეგმით ოთხკუთხედს წარმოადგენს. პირველი სართული ყრუა. მეორე სართულის დასავლეთ კედელში არქიტრავული შესასვლელია. კარის წირთხლებზე შემორჩენილია საურდულეები. აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ კედელში თითო სათოფურია. სათოფურებია დატანილი ასევე მესამე სართულის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედელშიც.

კოშკის მესამე სართული დაზიანებულია. სამხრეთ კედელზე შემოცლილია საძირკვლის საპირე ქვები.

მონგრეულია სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის კუთხე.

## с.Корниси

# БАШНЯ

**Позднее средневековье (XVII-XVIII вв.)**

Трёхэтажное здание башни возведено из булыги, рваного и тёсаного камня. Стены в плане прямоугольной башни широкие. Первый этаж совершенно глух. В западной стене второго этажа прорезана архитравная дверь. В трёх остальных стенах прорезано по одной амбразуре.

Третий этаж башни поврежден, разрушен юго-восточный угол.



***ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. Вид с юго-запада***

# სოფ. ყორნისი

# კოშკი

## გვიანი შუა საუკუნეები (XVII-XVIII სს)

ძეგლი მდებარეობს მდ.ტილიანის მარჯვენა ნაპირზე. კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.

გეგმით სწორკუთხა კოშკი შემორჩენილია ორი სართულის დონეზე. პირველი სართული ყრუა და ამოვსებულია მიწით. მეორე სართულის ოთხივე კედელში გაჭრილია სათოფურები. ალმოსავლეთ კედე-




*მეორე სართულის გეგმა. План второго этажа*



*ხედი სამხრეთიდან. Вид с юга*

ლში მოწყობილია თაღოვანი ბუხარი. არქიტრავული შესასვლელი დატანებულია მეორე სართულის სამხრეთ კედელში.

კოშკის კედლები დაბზარულია. მეორე სართული დაზიანებულია.

## с.Корниси

## БАШНЯ

### Позднее средневековье (XVII-XVIII вв.)

Памятник стоит на правом берегу р.Тилиани. Возведена башня из рваного камня. Постройка значительно пострадала от времени. Стены сохранены на уровне двух этажей.

Первый этаж глух и завален землёй. На втором этаже по всему периметру прорезаны амбразуры. На втором этаже южной стены прорезана дверь. Камин устроен в восточной стене.

## სოფ. ყორნისი

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

ექვსსართულიანი კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. კუთხეებში გამოყენებულია ნაცრისფერი შირიმის ქვა.

თაღოვანი შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. ექვსივე სართულის კედლებში სათოფურებია დატანებული, დასავლეთ კედელში კი თაღოვანი სარკმლებია.

შიდა სივრცის აღწერა ვერ ხერხდება.




*გეგმა. План*

## с.Корниси

# БАШНЯ

### Позднее средневековье

Шестиэтажная башня возведена из рваного камня, углы выведены серым камнем ширими.

На втором этаже южной стены имеется дверь. Во всех стенах шестиэтажной башни прорезаны бойницы. В западной стене прорезано одно арочное окно.

## სოფ. ყორნისი

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები

მდ. ტილიანის მარცხენა ნაპირზე აღმართული ოთხსართულიანი კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. კუთხეებში გამოყენებულია თლილი ქვა.

კოშკი გეგმით ოთხკუთხაა. პირველი სართულის სამხრეთ კედელში არქიტრავული შესასვლელია. კარს გვიანდელი შეკეთების კვალი ეტყობა. ასეთივე შესასვლელია ამავე კედლის მეორე სართულზე. დასავლეთ, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლებში მოწყობილია სათოფურები.




*პირველი სართულის გეგმა. План первого этажа*

მესამე სართულის დასავლეთ კედელში დიდი ზომის სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ოთხივე კედელში სათოფურებია. მეოთხე



თიღვა, ხედი სამხრეთ აღმოსავლეთიდან / ТИГВА, ВИД С ЮГО ВОСТОКА



ძაგინა, საერთო ხედი / ДЗАГИНА, ОБЩИЙ ВИД



კარის ფრაგმენტი. ФРАГМЕНТ ДВЕРИ



საკურთხევლის კედლის ფრაგმენტი. ФРАГМЕНТ АЛТАРНОЙ СТЕНЫ

სართულის მცირე ნაწილია შემორჩენილი. კედლებზე ჩანს სართულშუა გადახურვის კოჭის ბუდეები.

კოშკი შიგნიდან შელესილია. ალაგ-ალაგ ჩასხმულია ბეტონი.

## с.Корниси

# БАШНЯ

### Позднее средневековье

Четырёхэтажная башня возвышается на левом берегу реки Тилиани. Строительный материал - рваный камень, углы здания выведены тёсаным камнем. На первом и втором этажах четырёхугольной башни с южной стороны устроен вход.



*ხედი სამხრეთ აღმოსავლეთიდან. Вид с юго-востока*

Амбразуры прорезаны в западной, северной и восточной стенах. На третьем этаже имеется одно окно и четыре амбразуры. Четвёртый этаж сохранился частично.

## სოფ. ყორნისი

# კოშკი და სასახლის ნანგრევი

### XVII ს. მეორე ნახევარი

ვახუშტის მიხედვით: "ყორნისს არს ქუაბნი კლდზისანი და კოშკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა". ლეკების მიერ ყორნისის დარბევის თარიღი არ არის მითითებული. სავარაუდოდ ეს XVIII ს. პირველ ნახევარში მოხდა. მემატიანე სეხნია ჩხეიძის მიხედვით XVII ს-ის ბოლოს ტახტს რამდენიმე დიდგვაროვანი ეცილებოდა ერთმა-



*საერთო ხედი. Общий вид*

ნეთს. 1688 წელს, როდესაც მეფე ერეკლე I აირჩიეს, ქართლის მეფე გიორგი XI-მ ზემო ქართლისაკენ დაიხია და ყორნისში დაბანაკდა, კერძოდ რა ადგილას, არ არის ცნობილი.

ყორნისზე, როგორც მნიშვნელოვან პუნქტზე, წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ცნობა: 1759 წ. რვაათასიანი ჯარით დაღესტნიდან გადმოვიდნენ კოხტა ბელადი და ჩონჩოლ-მუსა. ისინი გაემართნენ ზემო ქართლისაკენ ლიახვისა და ფრონეს ხეობების გავლით. ქართლ-კახეთის მეფეებს რიცხობრივად არ აღმოაჩნდათ სათანადო ჯარი. მათ საშველად იმერეთის მეფე გამოვიდა და შეერთდნენ სიმაგრეში.

კოშკის გადარჩენილ ნაწილს თითქოს ჭრილში ხედავ.

უფრო მეტად დამახასიათებელი შვიდსართულიანი კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, ხოლო თაღ-კამარა აგურით. იგი საფორტიფიკაციო ნაგებობათა ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

კოშკი დაკავშირებულია ჩრდილოეთით მიდგმულ სასახლესთან; სასახლიდან შემორჩენილია უმნიშვნელო ნანგრევები. კოშკი შუაზეა გადახსნილი. მისი აღმოსავლეთი მხარე მთლიანად ჩამონგრეულია. შესაძლოა, ეს მიწისძვრის შედეგი იყოს.

სოფ. ყორნისი მდ. ფრონეს ზემო წელში ერთ-ერთ გამაგრებულ პუნქტად ითვლებოდა. იგი გაშლილ ადგილზე მდებარეობდა. ადგილობრივი ფეოდალი, თავდაცვის მიზნით, იძულებულია გაამაგროს ტერიტორია კოშკებით, ააგოს სასახლე და შვიდსართულიანი კოშკი.

